ხუთშაბათი, 1917 წ. ღვინობისთვის 19 (1) № 230

წელიწადი მესამე

ხუთშაბათი, 1917 წ. ღვინობისთვის 19 (1) № 230

ფასი 15 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

რედაქცია

ხაგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

კონტორა

გაზეთის ფასი პირველ ენკენისთვიდან წლის დამლევამდე 12 მან. ერთი თვით (მხოლოთ თბილისში) 3 მან. ცალკე № 15 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით: 15×2=8 მანეთი, 20×2=10 მანეთი, 30×2=15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1. მანეთი ფული და წერილები, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

## გაზეთის შინაარსი

### ცნობებიდან

რესპუბლიკის საბჭოში ტერეშჩენკომ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა. სხვათა შორის სთქვა: რუსეთი ბალტიის ზღვის უყინავ ნავთსადგურის დაკარგვით პეტრეს წინა დროის დამზგავსებას არასოდეს არ დასთანხმდებაო.—პეტროგრადი ბოლშევიკების აჯანყების მოლოდინშია.—აკრძალულია კრებები და მიტინგები.—სურსათის მინისტრმა განაცხადა: პურის დიდი ნაწილი არაყის გამოსახდელად იხარჯებაო.

### წერილებიდან

მეთაური. ქართული უნივერსიტეტი.
ტ. ტაბიძე. ქართული ჯარი.

პატარა ფელეტონი. ვ. დუშელი. „დღესაც იქ არიან".

მ. ჯანაშვილი. პური საქართველოში.
მღვ. ნ. ბარნაბიშვილი. საქართველოს ეკლესია უსტამბოთ.
კორესპონდენცია: აფხაზეთიდან.

ხუთშაბათს, 19 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე

ქართულ სამეურნეო ბანკის შენობაში (სასახლის ქუჩა, სახლი სარაჯიშვილისა)

### დანიშნულია
## შეერთებული კრება
### თბილისის ყველა უბნების კომიტეტებისა

კრებას უნდა დაესწრნენ კომიტეტების ყველა წევრები.

კრების საგანია: თბილისის დროებითი ცენტრალ კომიტეტის არჩევა.

2—2

## დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის
### თბილისის ქალაქის გამგეობისაგან.

თბილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ დროებით მთავრობის მიერ დამფუძნებელ კრების არჩევნები 1917 წ. გიორგობისთვის 12-სათვის არის დანიშნული. საარჩევნო სიების გამოქვეყნება დანიშნულია ამა წლის ღვინობისთვის 20-სათვის. ქალაქ თბილისში ამომრჩეველთა სიები შედგენილია. ამ სიებიდან, როგორც საქალაქო არჩევნებმაც დაგვანახვა, ზოგიერთი ამომრჩევლები შეცდომით გამოტოვებულან. სიებში არ შესულან ისინი, ვინც მაისის 28-დან ღვინობისთვის 12-მდე 20 წლისა შესრულდა და ვინც თბილისში 28 მაისის შემდეგ ჩამოვიდა. ეხლა ყველა ამ პირებმა უნდა განუცხადონ ქალაქის გამგეობას, რომ მათ დამფუძნებელ კრების არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ. ამასთან უნდა წარადგინონ წლოვანობის და რუსეთის ქვეშევრდომობის მოწმობა.

ვინც ამას ღვინობისთვის 20-დე არ მოახერხებს არჩევნებში მონაწილეობის უფლებას დაჰკარგავს.

განცხადება სიაში შეტანის შესახებ უნდა წარმოადგინოთ შემდეგ ადგილებში, სადაც 27 სექტემბრიდან ამა წლისა ქალაქის გამგეობა გზავნის სპეციალურ პირთ, რომლებიც იქნებიან იქ დილის 10-დან შუადღის 3 ს. და საღამოს 6-დან 10 საათამდე.

1 უბანში ქალაქის სკოლა, მაჩაბლის სახლი, ოლღას ქ. № 52.
2 „ არტისტიულ საზოგ. საზამთრო სადგომი.
3 „ ქალაქის გამგეობა.
4 „ სახელოსნო სასწავლებელში.
5 „ ქალაქის სამკურნალო ვორონცოვის ქუჩაზე.
6 „ ხადეკის თავშესაფარი, რეიტერის ქუჩაზე.
7 „ ავლაბრის კლუბის საზამთრო შენობა.
8 „ ქალაქის სკოლა, პანასკერტის ქუჩა.
9 „ ქალაქის სკოლა, ჩერქეზიშვილის ქუჩა № 29.
10 „ სახალხო სახლი ზუბალოვისა, კიროჩნი ქ.
11 „ ქალაქის სკოლა, ჩერქეზიშვილის ქ. № 100.
12 „ ტექნიკური რკინის გზის სასწავლებელი შერემეტიევის ქ.

კვირას, ღვინობისთვის 22-ს, განსვენებულ ისტორიკოს-არქეოლოგის

### თევდორე დავითის ძის
## ჟორდანიას

გარდაცვალების წლის თავზე, დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი მიცვალებულის სულის მოსახსენებლად.

1—803—1

### საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის
## მთავარი კომიტეტი

იმყოფება ახალ ბინაზე, სასახლის ქუჩა № 5, ქართულ სამეურნეო ბანკის პირდაპირ. ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდის და საღამოს 7—9 საათამდის. ამ დროს განმგეობაში შეიძლება როგორც ცნობების მიღება, ისე წევრად ჩაწერა და შემოწირულების შეტანა.

## თბილისის

### პირველი უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ წევრთა და თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრათ ჩაწერა და ყოველგვარ ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7-მდე „საქართველოს" რედაქციაში ბ-ნ ევგენი იაკობის ძე გეგეჭკორთან.

### მეექვსე და მეშვიდე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრთა მიღება და ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 11—3 და საღამოს 5—7-დე ტუჩკოვის ქუჩა № 5, სახლი კლიმიაშვილისა.

### მერვე და მეცხრე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრათ ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 7—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე შესამე ნომრიანებელ მოსამართლის ბინაზე (ტურგენევის ქუჩა, სახლი № 4) კომიტეტის მდივან ვ. ყიფიანთან.

### მეათე და მეთორმეტე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე საღამოს 6—11 საათამდე ახალ საკრებულოს (ხარფუხის კლუბი) ბინაზე კომიტეტის დროებით თავმჯდომარე დ. ღუმბაძესთან და კლუბის მუშტაიდ ტერ კალატოზიშვილთან.

### საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის
### მეათე და მეთორმეტე უბნის

წევრთა და თანამგრძნობთა კრება დანიშნულია კვირას, 22 ოქტომბერს, დილის 11 საათზედ „ახალ საკრებულოს"-ს საზამთრო ბინაზე, მიხეილის პროსპექტი, № 129, სახლი ბარტისა.

განსახილველი საგნები: 1) დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის სამზადისი და საარჩევნო კანონები, 2) საორგანიზაციო საკითხები და სხვა.

4—801—1

## ამიერ-კავკასიის ბანკში
(თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 5)
## იყიდება

ბაქოში დაარსებულ ქართულ ნავთის სამრეწველო-სააქციონერო საზოგადოების აქციები 1000, 3000, 5000, 10000 და 25,000 მანეთიანი.

დაწვრილებითი ცნობების მიღება: თბილისში, იმავე ბანკში, ბაქოში—საზოგადოების კონტორაში ვორონცოვის ქ. № 4.

თ—766—16

### ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესიის
## კრებული

პატივისცემით უცხადებს ამა ეკლესიის მრევლთ, რომ კვირას, ღვინობისთვის 22 წირვის შემდეგ, თვით ეკლესიაში, დანიშნულია არჩევანი

1) სამრევლო საბჭოს წევრთა,
2) სამრევლო მოლარისა (მნათისა) და
3) სამრევლოს წარმომადგენელთა ეპარქიის კრებისათვის დეპუტატთა ასარჩევად,

და სთხოვს, მობრძანდნენ და მიიღონ მონაწილეობა არჩევანში.

ეს კრება განმეორებითია და კანონიერად ჩაითვლება, რამდენი მრევლიც უნდა გამოცხადდეს.

2—843—1

## ქართული კლუბი

წარმოდგენა № 3.

ხუთშაბათს, 19 ოქტომბერს, 1917 წ.

თბილისის ქართულ დრამ. დასის მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე ახალი პიესა

## ღ მ ი

დრ. 4 მოქ. არციბაშევისა, თარგ. ა. იმედაშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: აბაშიძე ტ., ქიქოძე ან., შოთაძე ან., ჯავახიშვილი ნ. ბ-ნნი: გვარაძე ნ., ზარდალიშვილი ი., თარალაშვილი ი., იმედაშვილი ა., მეტარაძე ვ., ქიქოძე ს., შალიკაშვილი ვ.

მზადდება ახალი დეკორაციები.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟ. ვ. შალიკაშვილი.

ანონსი: ორშაბათს, 23 ოქტომბერს, „ნაპოლეონი და ჟოზეფინა"

2—800—2

### კრებული და მნათე
### დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიისა

აუწყებენ ამავე ეკლესიის ყველა მრევლთაგანს, რათა ინებონ და მობრძანდნენ შაბათს, ღვინობისთვის 21, საღამოს 7 საათზედ ეკლესიაში, მონაწილეობის მისაღებათ

## არჩევნებში

1) სამრევლო მნათისა (მოლარისა)
2) სამრევლო საბჭოს წევრთა და
3) სამრევლოს წარმომადგენელთა საეპარქიო კრებისათვის დეპუტატთა ასარჩევად.

2—889—2

### სახალხო სახლი

სახ. სახალ. არს. ქართ. წარმ. მმართვ. წრე, პარასკევს 20 ოქტომბერს 1917 წ. წარმოდგენილი იქნება

## მ ე ფ ე

დრამა 4 მოქ. იუშკევიჩისა; თარგ. ა. იმედაშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ც. ამირეჯიბი, ლ. გოდერძი, ე. ბარათაშვილი, ვ. მარგველაშვილი, ე. იანქოშვილი, ს. რომანიშვილი-დგებუაძისა, ს. საჯოვი. ბ.ბ. გ. ანაშვილი, ვ. ნინიძე, ნ. გოცირიძე, ა. თავდგირიძე, ბ. მამაჯანოვი, ი. მინდიაშვილი, ა. მჭედლიშვილი, ალ. მეტრეველი, ს. რომანიშვილი, რ. სალუყაია, კ. ხახანაშვილი, გ. ჯაბაური, ნ. ჭანკვეტაძე და წულაძე.

ადგილ. ფასი 1 მ. 20 კ-დან 25 კ-დე

დასაწყისი სად. 8 საათ.

შემდეგი წარმოდგენა 25 ოქტომ.

რეჟ. კ. შათირიშვილი.

2—802—1

### სახალხო სახლთან
### არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის გამგეობას

განზრახვა აქვს ამ მოკლე ხანში გამართოს

## გამოსაცდელი წარმოდგენა

ვისაც სურს მიიღოს მონაწილეობა აღნიშნულ წარმოდგენაში შეუძლიან ჩაეწეროს, წრის კანტორაში ყოველ დღე საღამოს 7—9 საათამდის, მიხეილის ქუჩა № 102 ეზოში.

3—2

### ექიმი
## ა. დ. კეკელია

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ასოშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116.

(თ—703—38)

### კბილის ექიმმა
## მამულაიშვილი-ხოდნევისამ
### განაახლა

ავადმყოფების მიღება.

10—1 დილით, 5—6 საღამოს, გარდა კვირისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

25—823—9

### ექიმი
## დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 5-დან 7 საათამდე.

გუნიბის ქუჩა № 41

ტელეფონის № 14—09

თ—719—33

### დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7.

ტელეფ. № 17—21.

### ექიმის თანაშემწე
## ვანო საათაშვილი

ღებულობს ავადმყოფებს საღ. 4—6 საათ.—ვენერიულ სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებთ, ნერვებით ავადმყოფთ, სიფილისიანთ და სხ. ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყბაყურის აცრა და სხ. მისამართი: ფასანაურის შესახ. № 3. (1-ლი სამილიციო ნაწილი).

37—748—თ.

### ექიმი
## გ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

თ—8

თბილისი, ღვინობისთვის 19.

# ქართული უნივერსიტეტი

ქართველობის დიდი ხნის სურვილი, თავისი საკუთარი უნივერსიტეტი რომ ჰქონოდა, ოცნებიდან სინამდვილეს უახლოვდება.

ქართველებმა ამ შემთხვევაში მეტი მუყაითობა, მეტი საქმის სიყვარული გამოიჩინეს, ვინემ სხვა დროს შეგვეძლო გვეფიქრა.

ალბად ამ ხნის ნატვრას მაგრად ჰქონდა გამჯდარი ფესვები ქართულ შეგნებაში, რომ აქამდის მცონარე და თაოსნობის მოკლებული ხალხი აამოძრავა და საქმის სიყვარულში შეჰკრა. ქართულ უნივერსიტეტის საზოგადოების ყრილობამ დაადგინა უნივერსიტეტის გახსნა იანვრიდან და ამისთვის უკვე შეუდგა თადარიგის დაჭერას და შეიმუშავა წესრიგი აკადემიური მუშაობის.

ზედმეტია იმის აღნიშვნა თუ რა მნიშვნელობა ექნება ამ დაწყებას ქართულ ეროვნულ შეგნების გაღრმავებისთვის; ქართული უნივერსიტეტი, როგორც ეს მოხდა სხვა ქვეყნებში, მაგარ ნიადაგს მოუმზადებს ეროვნულ იდეის აღორძინებას, ამდიდრებს დამოუკიდებელ აზროვნებას გადაჩვეული ჩვენი ახალი თაობა დაეწაფება მშობლიურ ენაზე მეცნიერებას, დაუახლოვდება ხალხის სულს და თანდათანობით მეცნიერების ნაციონალიზაცია გადავა შემოქმედების ყველა დარგის ნაციონალიზაციაში.

მაგრამ ქართულ უნივერსიტეტს ერთი საფრთხე მოელის.

დროებით მთავრობის განკარგულებით თბილისში იხსნება მეორე რუსული უნივერსიტეტი.

ვინც დააკვირდება დღევანდელ რუსეთის მდგომარეობას, ის შეამჩნევს, რომ თვითონ რუსეთში, როგორც საზოგადოდ შინაურ საქმეებში ისე აკადემიურ სფეროშიც დიდი ანარქია დამყარდა.

უმაღლესი სასწავლებლები უკვე ჩაერივნენ პოლიტიკაში, უნივერსიტეტში არსად არ არის წესიერი აკადემიური მუშაობა, ზოგ უნივერსიტეტს სტრატეგიული აუცილებლობით სცლიან და ზოგს კიდევ სურსათ-სანოვაგის ნაკლებობით გამოწვეულ კრიზისის გამო.

ამ დროს ახალი უნივერსიტეტის გახსნა კავკასიაში, შეუძლებელია მარტო იმით აიხსნას, თითქო ახალ მთავრობას უნდოდეს ძველი მთავრობის ცოდვები გამოისყიდოს და დიდი ხნის ნანატრი უნივერსიტეტი დაუაროს „ოკრაინებს". იმპერიალისტური მთავრობა ყველაზე ნაკლებ ფიქრობს პატარა ეროვნებათა კულტურულ საჭიროებაზე, აქ ჩვენ ვამჩნევთ ერთგვარ პოლიტიკის ხაზს.

რუსეთის ახალ მთავრობას უნდა კულტურული გავლენა დაამყაროს განაპირა ქვეყნებში, რომ ის არ გაუშვას თავის გავლენის რკალიდან.

ჯერ იყო და დროებითი სამინისტრო თავზე იღებს რუსულ ეკლესიის მოწყობის საქმეს კავკასიაში, ეს მაშინ, როცა რუსეთის ეკლესია განიცდის დახსნის და დაშლის პროცესს, ამით მას უნდოდა ერთგვარი მეტოქეობა გაეწია ავტოკეფალურ ქართულ ეკლესიისთვის.

მაგრამ ქართული ეკლესია ჯეროვანი ყურადღებით მოეპყრო ამ მუხანათურ ზრახვას და დღემდის განაგრძობს საკუთარი თავის დაცვას.

ეხლა ნიშანში ქართული უნივერსიტეტია აღებული, რომ აქაც დაიწყონ მეტოქეობა და გაამაგრონ რუსული საქმის დანგრეული პოზიციები.

ამ საფრთხეს უფრო მეტი სიმწვავე აქვს, რადგან საშუალო სკოლის ნაციონალიზაციამ დაამტკიცა, რომ ბევრს ქართველში მაგრად არის გამჯდარი გადაგვარებულის ბუნება და არჩევს რუსულ სასწავლებლებს ქართულს, რომ მეტი გამჭრიახობა გამოიჩინოს და მეტი უფლებები მისცეს თავის შვილს.

ამ შემთხვევაში უნივერსიტეტი უფრო დიდი მოედანია, აქაც გამოჩნდებიან ალბად ეროვნულ საქმის შეგნებული, თუ შეუგნებელი მტრები და ეცდებიან ქართული უნივერსიტეტის დაცემას. მაგრამ თუ ქართველი ერი ნაციონალურ უნივერსიტეტამდის ამაღლდა, იმდენ ძალასაც გამოიჩენს, რომ ახალ საფრთხესაც წინ აღუდგეს.

# ქართული ჯარი

ქართული ჯარი სდგება მაშინ, როცა რუსეთში უკვე იწყება დემობილიზაცია, მაგრამ ეს გარემოება სრულიაც არ ამცირებს ქართული ჯარის შედგენის დიდ ეროვნულ მნიშვნელობას.

ჩვენ როცა საქართველოს წარსულს ვეხებით, მხედველობიდან უშვებთ იმ გარემოებას, რომელიც სრულიაც არ არის ღირსი რომ დავივიწყოთ. ქართულ იდეას ერთნაირი ძლიერებით სჭედდენ, როგორც რუსთაველი და ბესიკი, ისე გორგასლანი და დიდი მოურავი. ჩვენ ამას ვგრძნობთ, მაგრამ შემდეგ როგორ ისახებოდა ეს თანდათანობა, ამას არ ვაქცევთ ყურადღებას. მეცხრამეტე საუკუნეში შეჩერდა საქართველოს კულტურული შემოქმედება, ეს დრო არ გაუნათებია დიდ შემოქმედს არც ხელოვნებაში და არც მეცნიერებაში. მაგრამ ასე არ ითქმის მხედრობაზე, მართალია, ამ დროს ქართული მხედრობა თვითონ ჰლესავდა თავის თავზე ხმალს, თვითონ უ'პობდა თავის ერს თავისუფლებას, მაგრამ ის შეუგნებლად მაინც აჩენდა თავის მშობელი ერის სულში დაფარულ ძალას. ქართული მხედრობა განაგრძობდა ძველ ტრადიციებს და შეიძლება ითქვას, რომ ამ დროს თუ წინ არ მიდიოდა ის ეროვნულ სიმამაცის და ვაჟკაცობის გამოჩენაში, ყოველ შემთხვევაში, ღირსი იყო თავის წინაპრების.

პავლე ციციანოვი, პეტრე ბაგრატიონი, ორბელიანები, ჭავჭავაძენი, ამირეჯიბი და ამილახვარი—ეს ისეთი სახელებია, რომელთაც ეკვივალენტს ვერ მოუძებნით სხვა სფეროში.

ჩვენი და კავკასიის დამორჩილება და წინა აზიაში შეჭრა ქართველების საქმეა.

ამდროის ქართველი მხედრობა ამშვენებდა რუსეთის ჯარს და თვითონ რუსებიც აღნიშნავდენ ამას, როგორც სამხედრონი, ისე მწერლებიც: როგორც ი. პოლონკი და ა. ტოლსტოი, ლ. ტოლსტოი.

როგორც ჰხდება ხოლმე, ისტორიას დარჩენ მამაცი გენერლების სახელები, მხოლოდ საერთო გმირობა უფრო ქართველი ჯარისკაცების საქმე იყო. სამახსოვროა ის გარემოება, რომ დღემდი შეირჩინა ქართველმა მხედრობამ ეს გმირული სული. და ამ ომშიც, როცა თითქო ნაკლები მნიშვნელობა აქვს კერძო პირთა პირად სიმამაცეს, განსაკუთრებული სახელი დაიმსახურა. თუ უწინ ქართველმა მხედრობამ თვითონ გადაურაზა კუბო საქართველოს თავისუფლებას, ისტორიულად იგივე მხედრობა უნდა გამოვიდეს დამხსნელად.

ერი მანამდის ერობს, მანამ იმას იცავს საკუთარი ჯარი, ოცნება საერთაშორისო მშვიდობიანობაზე იმ ერში ცოცხლობს, რომელიც მოკლებულია საშუალებას, რომ თავისი თავი თვითონ დაიცვას და ჰქმნის ილიუზიებს თავის მოსატყუებლად.

თუ ჩვენში დღეს იწყება უკუღმა ირენდენტიზმი, თუ ზოგიერთი ქართველები გულუბრყვილოდ ამოკლებენ საქართველოს საზღვრებს, ამას ყველაფერს ბოლო მოეღება, როცა საქართველოს საზღვრებზე დადგება მისი გულადი ჯარი, რომელიც მარტო ერთი გრძნობს და შეუგნებლად აჩენს ერთს საარსებო მოთხოვნილებას. ქართული ჯარი ნიშანი იქნება ახალი საქართველოსი.

პირველი პარადი ნაციონალურ ჯარის, იქნეს პირველი ხელშეხება საქართველოს თავისუფლების და მხოლოდ აქედან გადავა საქართველოს ყველა ძარღვებში სიცოცხლე.

აქამდის მხოლოდ ქართველ მხედრებში არ დაჩრდილულა ეროვნული აქტივიზმი და შემდეგში სხვა ნაკვთებიც გაიხსნებიან ეროვნული შემოქმედების.

ტ. ტაბიძე.

# ომი და ზავი

## დეპეშები

### აღმოსავლეთის ფრონტი.

**რუსეთის ბანაკის ცნობა.**

**პეტროგრადი.** ღვინობისთვის 17. ოფიციალი. **ჩრდილოეთის ფრონტი.** ზღვის პირის მიმართულებით მტერმა იალუნშემეს რაიონს ქიმიური ყუმბარები დაუშინა. 15 საათზე მტერმა შემოტევა დაიწყო, მაგრამ ჩვენ ტყვიისმფრქვეველთა ცეცხლით უკან დავახევინეთ. რიგის მიმართულებით სოფელ სკოულის რაიონში დილიდან დაწყებული საღამოს 8 საათამდე მტერი მძიმე არტილერიას ამოქმედებდა. შემოტევის ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა. დანარჩენს ფრონტზე სროლაა. განსაკუთრებით კი კოპენჰაუზენისა და შტოკმანშოფის რაიონში.

**დასავლეთის, სამხრეთ-დასავლეთის და რუმინეთის ფრონტები.** სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

**კავკასიის ფრონტები.** არსებითი არა არის რა.

**ბალტიის ზღვა.** მდგომარეობა უცვლელია.

### დასავლეთის ფრონტი.

**ფრანგ-ინგლისელების შეტევა.**

**საფრანგეთის ბანაკის ცნობა.**

**პარიზი.** ღვინობისთვის 14 ოფიციალი. ბელგიაში ჩვენი ჯარი დრიგსხატენისა და დრეიბენტის შორის შეტევას განაგრძობს. ხელთ იგდეს გერმანელთა თხრილების პირველი წყება, რომელიც გუშინდელ დაპყრობილ ასპარეზის ჩრდილოეთით მდებარეობს. შეტევა მარჯვედ მიდის. ხელთ ვიგდეთ ტყვეები. დიუნკერკს ღვინობისთვის 12-ს საღამოთი გერმანელმა მფრინავებმა 20 ყუმბარა ესროლეს. მოკლულია 30 მცხოვრები.

**პარიზი.** ღვინობ. 15. ოფიციალი. მდინარე ენის ჩრდილოეთით მტრის არტილერია პინონშავინონის რაიონში და შევრინის მიმართულებით დიდ მოქმედებას იჩენდა. ფრაუდმანის ტყის ჩრდილოეთით გერმანელებმა ენერგიული იერიშები მოიტანეს მაგრამ დიდი ზარალით უკუ ვაქციეთ. ხელთ ვიგდეთ 60 ტყვე. მამასანის მთიან ადგილებში გაცხარებული საარტილერიო სროლაა. დანარჩენ ფრონტზე დღეს სიწყნარე იყო.

**ინგლისის ბანაკის ცნობა**

**ლონდონი.** ღვინობ. 15. ოფიციალი. ნახევარ კუნძულ მერკენზე სამხედრო ოპერაციები გამარჯვებით დაგვირგვინდა. მერკენი მოკავშირეთა ხელშია.

# რუსეთის რესპუბლიკა

## დეპეშები

### საბჭოთა ყრილობის გარშემო

**სამარა.** ღვინობ. 16. ჯარისკაცთა დეპუტატების სხდომაზე სოციალისტ-რევოლუციონერებმა და მენშევიკებმა უარი განაცხადეს საბჭოთა ყრილობაზე წარმომადგენლის გაგზავნის შესახებ. ბოლშევიკებმა თავიანთი კანდიდატები აირჩიეს.

### ბოლშევიკების აჯანყების მოლოდინში

**კრებების აკრძალვა ქუჩებში.**

**პეტროგრადი.** ღვინობისთვის 16. პეტროგრადის სამხედრო ოლქის მთავარ უფროსმა შემდეგი განცხადება გამოაქვეყნა: „პეტროგრადში შეიარაღებულ გამოსვლების შესახებ მეტად გახშირდა ხმები. გამოსვლებს დიდი უბედურება მოჰყვება დემოკრატიისათვის. იგი თავისუფალ რუსეთს დაღუპავს. გახსოვდეთ მოქალაქენო, რომ ასეთ გამოსვლებს, კონტრ-რევოლუციური მოძრაობა მოჰყვება. მოგიწოდებთ სიწყნარის დასაცავად და გაგონებთ რომ დროებით მთავრობის დადგენილება პეტროგრადის ქუჩებში მიტინგებისა და კრებების აკრძალვის შესახებ—დაუყოვნებლივ აასრულოთ გაფრთხილებთ წესრიგის დამრღვევლების წინააღმდეგ უკიდურესი ზომები იქნება მიღებული.

### ბრძანება პეტროგრადის ჯარს

**პეტროგრადი.** ღვინობ. 16. პეტროგრადის სამხედრო ოლქის მთავარ უფროსმა ღვინობისთვის 15-ს შემდეგი ბრძანება გამოსცა ჯარისადმი. კვლავ მზადდება უპასუხისმგებლო შეიარაღებული გამოსვლა პეტროგრადის ქუჩებში. ეს გამოსვლები ანარქიის გამომძახილი იქნება და აუცილებლია მსხვერპლი, რაც სამშობლოს უფსკრულის პირას მიიყვანს. ვინც ამ მძიმე დროს ხალხს სამოქალაქო ომისთვის მოუწოდებს, იგი ან უჭკუო და ბრმად ჩაითვლება, ან და ვილჰელმის სასარგებლოდ მომუშავედ. ყველა ჩემს მორჩილ ნაწილებს, ოფიცრებს და ჯარისკაცებს ვუბრძანებ გამოსასვლელ მოწოდებას ყური არ ათხოვონ. ჯარისკაცნო და ოფიცრებო, გახსოვდეთ თქვენი პასუხისმგებლობა მთელ დემოკრატიისა და თავისუფალ რუსეთის წინაშე.

### ანარქია

**მდგომარეობა ფეოდოსიაში**

**ფეოდოსია.** ღვინ. 16. უწესოება უსისხლოდ დასრულდა. გატაცებული ღვინო და ნივთები შეპყრობილ მეამბოხეებს ჩამოართვეს. ქალაქში სიწყნარეა.

# რესპუბლიკის საბჭო

**ღვინობისთვის 16 სხდომა.**

**პეტროგრადი.** ღვინობისთვის 16. სხდომა დაიწყო 11 საათზე და 50 წუთზე. თავმჯდომარეობს ავქსენტიევი, რომელსაც კამათის დროს პეშეხონოვი სცვლის. განსახილველია დროებით მთავრობის ცნობა სახელმწიფოს დაცვის შესახებ. ილაპარაკეს: **მურალოვიჩმა**, მემამულე გლეხთა წარმომადგენელმა **ვოევოდინმა**, ებრაელთა პარტიის პოალეი-ციონის წარმომადგენელმა **ბარუმ**, ბუნდისტების წარმომადგენელმა—**ერლიხმა**, მემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერმა **საბლინმა**, ორენბურგის ყაზახთა ჯარის წარმომადგენელმა **დუტოვმა** და ჯარისკაცთა ჯგუფის წარმომადგენელმა. პირველ საათზე სხდომა შესწყდა. დასვენება 10 წუთით გამოცხადდა.

### მურალოვიჩის სიტყვა.

მშრომელ ინტელიგენციის საბჭოთა წარმომადგენელ მურალოვიჩის სიტყვით, რუსეთი ისეთ მდგომარეობაშია, რომ თავდაცვის გეგმებზე კრიტიკის დაძვრაც არ შეიძლება. რუსეთის აღსადგენად საჭიროა არა სიტყვები, არამედ საქმე. დროა გაბედულად მოვითხოვოთ, რომ ძალა მთავრობას დაემორჩილოს. ეხლა რუსეთში სრული უმორჩილობაა, ამიტომ ხალხი შეჰღაღადებს დროებით მთავრობას „აიღე ხმალი, წადი და ებრძოლე მტერს". იგი ხმალი მარტო ომისთვის კი არ იქნება ამოწვდილი, არამედ მართლმსაჯულობისათვის.

### ვოევოდინის სიტყვა.

მემამულე გლეხთა წარმომადგენელი ვოევოდინი აღნიშნავს, რომ სამშობლოს დიდი საფრთხე მოელის. იგი მოუწოდებს: შესწყვიტეთ პარტიული ბრძოლა, იხსენით სამშობლო. გაკიცხეთ როგორც მოღალატენი, ისე ის, ვინც შეერთება-შეკავშირებაში ხელს გიშლით. ორატორის აზრით, ასეთი ხელის შემშლელი მოღალატენი არიან ციმერვალდელები, კერძოდ კი ლენინი, რომლებიც ღირსნი არიან გაკიცხვა-შეჩვენებისა.

### ბარუს სიტყვა.

ებრაელთა მუშათა პარტიის პოალეციონის წარმომადგენელი ბარუ აღნიშნავს, რომ რუსეთის რევოლუციამ სხვა ერებთან შედარებით ებრაელებს უფრო მეტი სიკეთე მისცა. მაგრამ რევოლუციის პირველ თვეებშივე ებრაელებმა რუსეთში კვლავ ცუდად იგრძნეს თავი, მათ ცხოვრებაში კვლავ უწესოებამ იჩინა თავი. რაც შეეხება გოლდშტეინის მტკიცებას, ვითომც ებრაელთა შორის ინტერნაციონალისტები არ იყვნენ—სიმართლესაა მოკლებული. 1915 წელში კი მხოლოდ ებრაელ მუშათა ცალკე პარტიებმა დაუჭირეს მხარი ციმერვალდიზმს. ახლა რევოლუციის 6 თვის შემდეგ, ებრაელთა ყველა სოციალისტური პარტიები მხარს უჭერენ ინტერნაციონალიზმს. ეს კი არ არის სამშობლოს უარყოფა, არამედ იგი დემოკრატიულ სამშობლოს მიღებაა.

### ერლიხის სიტყვა.

ბუნდისტი ერლიხი გულისწყრომას გამოსთქვამს გოლდშტეინის სიტყვის გამო. ორატორი აღნიშნავს, რომ ებრაელები მეტად პირნახული ერია და კულტუროსანი. ამიტომ არ შეიძლება მათ უფორმო მასსა უწოდოთ, როგორც ეს გოლდშტეინმა მოისურვა. ბუნდმა ნათლად დაამტკიცა რუსეთთან კავშირი და მეტია აქ სამშობლოს სიყვარულზე ლაპარაკი. ამ პარტიას არავისთვის არ დაუვალებია ისეთი განცხადებები შემოეტანა, როგორც გოლდშტეინს. (ტაში).

### საბლინის სიტყვა.

მემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერთა წარმომადგენელი საბლინი აღნიშნავს, რომ რუსეთის რევოლუცია პირისპირ მიადგა საფრთხეს. ლაშქარი მტერს წინააღმდეგობას ვერ უწევს. რევოლუციის განსამტკიცებლად კი დროებითი მთავრობა ვერც ერთ რადიკალ ღონისძიებისათვის ვერ მიუმართნია: მიწა ძველებურად მემამულეთა ხელშია. ფაბრიკა-ქარხნები მრეწველთა და კაპიტალისტების ხელშია. რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, მას სრულებით არ ახმიანებს რევოლუციურ რუსეთის სურვილები. ორატორი მოითხოვს ერთფეროვან რევოლუციურ მთავრობის შექმნას, მხოლოდ მიწის დაუყოვნებლივ საადგილმამულო კომიტეტების ხელში გადაცემა და ყველა ფრონტებზე შერიგება იხსნის რევოლუციას ახალ ქარიშხლებიდან. (ტაში მარცხნივ).

### დუტოვის სიტყვა.

ორენბურგის ყაზახთა ჯარის წარმომადგენელი ატამანი დუტოვი აცხადებს, რომ ჯარი [illegible] სიტყვას სრული კმაყოფილებით შეხვდა. დუტოვი მოითხოვს ლაშქარში დისციპლინის აღდგენას. მაგრამ ეს ცოტაა, საჭიროა, რომ ლაშქარი შეგნებული იყოს. რომ ორენბურგის ყაზახობა ნდობით ეპყრობოდა თავის ჯარის უფროსებს, იქიდანა ჩანს, რომ რესპუბლიკის საბჭოში საგანგებოდ ოფიცრები აირჩიეს. ჯარისათვის ტანისამოსის დამზადების შესახებ ორატორმა სთქვა, ორენბურგის ყაზახობამ თვით დაუმზადა ტანისამოსი თავის ჯარსაო. ორატორის სიტყვით ყაზახობას სავსებით მიუღიათ მოსკოვის თათბირზე მიღებული კალედინის დეკლარაცია. (ტაში მარჯვნით).

### სმელიაკოვის სიტყვა.

ჯარისკაცთა ცოლების ერთი ჯგუფის სახელით სმელიაკოვისა ამბობს: ჯარისკაცთა ცოლებს დახმარება უნდა გაუორკეცონ, სიძვირის გამო მათთვის გადადებული კერძი არა ჰყოფნით და მთავრობა მოვალეა მათი მდგომარეობა გააუმჯობესოს.

### ვერდერევსკის სიტყვა

საბჭოს წევრმა სავიჩმა სთქვა, რომ მე ოპტიმისტური აზრი გამოვსთქვი ფლოტის მდგომარეობის შესახებ და ვითომ დისციპლინის აღსადგენად მანილოვისებური ზომა წამომეყენებინოს. დისციპლინა მართალია დარღვეულია, მაგრამ სადრჩობელებით ვერ აღვადგენთ. ჯარში და ფლოტში დისციპლინა სამშობლოს დაცვისადმი მომართული ხალხის ნებისყოფის შედეგი უნდა იყოს. ამ შემთხვევაში კი შეურყეველი უნდა დარჩეს ის ფორმულა, რომ ჯარმა სამხედრო ბრძანებები უნდა აასრულოს არა შიშით, არამედ საკუთარი სინდისის მოთხოვნილებით. თუ დისციპლინის შიშზე დავამყარებთ, მაშინ ამ ფორმულის მეორე ნაწილი უნდა გაუქმდეს. (ხმები მარცხნიდან:... მართალია"). შიშზე დისციპლინის დამყარება იმას ნიშნავს, რომ ასეთი დისციპლინის დამყარება ღირსი არ არის ხალხის ნდობისა (მარცხნიდან ტაში და ხმები: „მართალია"). ვერდერევსკი აღნიშნავს, რომ რევოლუციის დასაწყისში ჯარსა და ფლოტში გაქრა სამშობლოს შეგნება, რამაც ყოველს უნდა გაალებინოს მსხვერპლი.

### სამხედრო დისციპლინა

მაშინდელ სამხედრო მინისტრს გუჩკოვს მივუთითე, რომ ძველი რეჟიმის დროსვე დარღვეულ ნამდვილ დისციპლინის დამასუსტებელ პრუსიულ მკაცრი დისციპლინის დარღვევის შემდეგ აურაცხელი უბედურება მოსალოდნელი. გუჩკოვმა პესიმისტობა დამწამა და მითხრა, ფლოტზე მაგრე აწეწილი საქმე, თორემ ჯარის მდგომარეობა ამ მხრივ ჩინებულიაო. მე კი ვიცი, რომ ჯარშიც ცუდად იყო ამ მხრივ საქმე. დისციპლინის აღსადგენად საჭიროა ხალხმა დაუმტკიცოს ჯარს თავისი მისდამი სიყვარული, რომ იგი მზადაა მსხვერპლის გასაღებად.

### „იმდენად, რამდენადაც"...

სავიჩი უფროსთა დემაგოგიაზე ლაპარაკობს. ზოგ დაწინაურებულ პირებს სავიჩი სწამებს დემაგოგიას და რაღაც მავნე დოკუმენტის შედგენას. ეს, ცოტა რომ ვსთქვათ, უნებური სიცრუეა—მარტში დეპუტატთა საბჭოებმა წამოაყენეს ლოზუნგი: „იმდენად, რამდენადაც". ისეთი მდგომარეობა დამყარდა, რომ უფროსების განკარგულებას არ ასრულებდნენ, ვიდრე განკარგულების საგნის შესახებ დეპუტატთა საბჭოების კონტრ-განკარგულება არ მოვიდოდა. ამნაირად, ყოველ განკარგულებაზე ჯერ ითათბირებდნენ და შემდეგ ისე შეუდგებოდნენ მის შესრულებას.

### ორი მთავრობა.

ამიტომ მე, ადმირალმა პილკინმა, პირველი ბრიგადის გამგემ კაპიტანმა შჩეპლევმა დეპეშით განვუმარტეთ გუჩკოვს, რომ ორ-მართველობა ჯარის ხელმძღვანელთა პრესტიჟს სცემს, ხელს უწყობს სამხედრო დისციპლინის დამხობას და ფლოტს ართმევს უნარს სამხედრო მოქმედებისას. რომ უბედურობის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ერთ-მართველობის აღდგენა ცენტრში.

### ჯარი და პარტიები.

დასასრულ ვერდერევსკი ამტკიცებს რომ ჯარი ერთია და მთავრობა მეორე. ჯარის საქმესთან არავითარი დამოკიდებულება არ აქვს იმ მოვლენას, თუ რომელი პარტია ედგომება სათავეში დღ. მთავრობას. ჯარმა მხოლოდ ერთი უნდა იცოდეს:—თუ ძლიერი მთავრობა არ გვეყოლება, მაშინ სახალხო საქმე დაიღუპება.

### სავიჩის შეკამათება.

სამხედრო მინისტრის საწინააღმდეგოდ [illegible] რომელიც ამტკიცებს, რომ დისციპლინის აღსადგენად საჭიროა საერთო პოლიტიკა, განსაზღვრული სისტემა. სავიჩი აღნიშნავს, რომ თვით სამხედრო სამინისტროშიაც ორ-მართველობას აქვს ადგილი. ორატორის შეხედულობით ასეთი მდგომარეობა საქმეს ართულებს და სრულებით არ ემსახურება დისციპლინის აღდგენას. სავიჩი აღნიშნავს, რომ ცენტრის ბრძანებას ხშირად ანგარიშს არ უწევენ. ადგილებზე მხოლოდ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებს ემორჩილებიან, აქედან აშკარაა, თუ ვის ხელში უნდა იყოს ძალა. სავიჩის წინააღმდეგ კვლავ საზღვაო მინისტრი ვერდერევსკი ლაპარაკობს, რომელიც აღნიშნავს, რომ ცენტრო-ფლოტი მისთვის ძვირფასია. (ტაში). შემდეგ ვერდერევსკი ამბობს:—საბჭოს წევრი, ამტკიცებს რა იმას, რასაც ადგილი არ ქონებია. ჩვენ გვიწევს საბრძოლველად (ტაში) რომ ყველაფერი აშკარა იყოს, მე ვსთხოვ საბჭოს სათათბიროს წევრს [illegible], რომელიც აჯანყების დროს რეველში იყო, განაცხადოს, ვაგვართ თუ არა ჩვენ დემაგოგებს. სხდომა სწყდება.

### საღამოს სხდომა

4 ს. და 15 წუთს სხდომის განახლებისას მინისტრთა ლოჟაში დროებითი მთავრობის წევრები სხედან კონოვალოვის მეთაურობით. დიპლომატთა ლოჟაში—ყველა ელჩები. [illegible] სიტყვისა და ხალხის ლოჟები გავსილია. თავმჯდომარეობს ავქსენტიევი, რომელიც წინადადებას იძლევა, შესწყდეს მთავრობის მოხსენება სახელმწიფოს თავდაცვის მდგომარეობის შესახებ და მოისმინონ გარეშე საქმეთა მინისტრის მოხსენება. წინადადება სხდომამ მიიღო. ერთ საათზე მეტს ლაპარაკობს ტერეშჩენკო, რომლის სიტყვის შესახებაც, დაადგინეს, მორიგ სხდომაზე იმჯელონ.

### ტერეშჩენკოს სიტყვა

**სტრატეგია და პოლიტიკა**

განსახილველ საკითხთა წეს-რიგში პირველად პოლიტიკის საკითხი გაქვთ აღნიშნული, ეს შეიძლება უნებლიედ მოხდა, მაგრამ ცხადია, რომ ჩვენი საგარეო პოლიტიკა ჩვენს სახელმწიფოს დაცვასთან არის დაკავშირებული. თუ ჩვენ საჭიროდ მივვაჩნია თავდაცვის შესახებ ზოგი აზრი და შეხედულებანი დახურულ სხდომაზე განვიხილოთ, ასევე უნდა მოვექცეთ პოლიტიკურ საკითხების განხილვის დროს. როგორც მოკავშირენი, ისე ჩვენი მოწინააღმდეგენი გაფაციცებით თვალყურს ადევნებენ ყოველს ცვლილებას ჩვენს საზოგადოებრივ აზრსა და პოლიტიკაში.

**გერმანეთის დიპლომატიის იმედები**

გერმანეთის საგარეო მინისტრმა ამას წინად ეს ცხად ჰყო, როდესაც ამბობდა: „სხვათა შორის, ჩვენ დიდად უნდა ვზრუნავდეთ ჩვენი მოწინააღმდეგე სახელმწიფოების საზოგადოებრივ აზრის გაგებას; როდესაც მკვიდრად არიან, მაშინ ხელს გვიწყობიან, პირიქით, როდესაც სიმტკიცე შერყეულია, მაშინ ცდილობენ წინააღმდეგი დაგვიმტკიცონ". გერმანელები ცდილობენ გავლენა იქონიონ თავის მოწინააღმდეგე სახელმწიფოს საზოგადოებრივ აზრზე. აქეთკენაა მიმართული გერმანეთის დიპლომატიის დიდი ცდა. ამიტომ, არამც თუ მარტო დაწესებულებათა ხელმძღვანელები, არამედ ყოველი უბრალო წარმომადგენელიც კი ხალხისა უნდა ფრთხილობდეს არა სთქვას რა, რაც მავნებელი იქნება სამშობლოსათვის. რომელიმე გენერლის ინტერვიუ ან ამა თუ იმ ორგანიზაციის მეთაურის ნალაპარაკევი რევოლუციონურ კონვენტის მდგომარეობის ან და ზამთრის კომპანიის საკითხის შესახებ მიზეზი გახდება მტრის ბანაკში სიხარულისა და ჩვენ მოკავშირეთა შორის ეჭვიანობისა. არის კიდევ ერთი მოვლენა, რომელიც პოლიტიკისა და სტრატეგიის საკითხებს უკავშირებს ერთი ერთმანეთს. ვერც პოლიტიკური და ვერც სტრატეგიული საკითხები ისე ვერ გადასწყდება ჩვენი სახელმწიფოს სასარგებლოდ, თუ სამშობლოსადმი სიყვარულზე არ არიან აღმოცენებულნი. ამიტომ მე დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი წესრიგის დაცვით ცხადი გახდება, რომ ამ საკითხების გადასაწყვეტად თქვენი და ჩვენი გამოსასვლელი წერტილი ერთი და იგივეა, ეს არის სამშობლოს სიყვარული.

**საერთაშორისო პოლიტიკა და ზავი**

რუსეთის საერთაშორისო პოლიტიკა უნდა ხელმძღვანელობდეს ნათლად

შეგნებულ რუსეთის სახელმწიფოებრივ ინტერესებით. ეს სახელმწიფოებრივი ინტერესები უკარნახებენ მას, რომ მარტოდ-მარტო დარჩენა არ შეუძლიან, რუსეთი, როგორც ყველგან, ყველას მოსწყურდა ზავი, მაგრამ არავინ ისურვებს და ყველა წინ აღუდგება რუსეთის დამამცირებელ ზავს, მის სახელმწიფოებრივ ინტერესების დამრღვეველ ზავს. (მქუხარე ტაში მარჯვნივ, ცენტრში და ალაგ-ალაგ მარცხნივ). ესეთი ზავი უდიდეს ისტორიულ შეცდომად დარჩება და მის გამო მრავალ წყევლა-კრულვას შეუთვლიან მათ, ვინც მის ჩამოგდებას ხელს უწყობენ და ამით მრავალწლობით, საუკუნოებით თუ მაინც არა, მთელს მსოფლიოში დემოკრატიულ ნიადაგს დაამწუხარებენ (მილიუკოვი ადგილიდან—მართალია). შემდეგ, ეს ზავი არ მოგვანიჭებს იმას, რაც ჩვენ ასე გვსურს, სახელდობრ ისეთს მშვიდობას, რომლის დარღვევაც მეორე ომით არ იქნება საჭირო, ამით ხელმძღვანელობდა რუსეთის საერთაშორისო პოლიტიკა წარსულ თვეებში. მომავალი ისტორიკოსები კი დარწმუნდებიან, რომ როდესაც რუსეთის საერთაშორისო პოლიტიკას სათავეში ისეთი კაცი ჩაუდგა, რომელიც სხვებთან შედარებით უფრო ნაკლებს სწერდა და ჰფიქრობდა დიდ რუსეთზე — რუსეთი სეპარატიულ ზავს მიუახლოვდა. მე ამას დაბეჯითებით ვამბობ. მაისში, როდესაც უწყების ხელმძღვანელობა მე მომენდო პირველად ასეთ სტიქიურს მდგომარეობასთან მომიხდა ბრძოლა. ეს სტიქიური მდგომარეობა კი სრულებით ეწინააღმდეგებოდა სამშობლოს მიზნებს და ინტერესებს. მაშინ დროებითმა მთავრობამ დაისახა ის მიზნები, რომელთა განსახორციელებლად დღესაც იბრძვის, და რომლებიც მომავალ რუსეთის არსებით ინტერესებად მიაჩნია. თქვენ გახსომებათ მაისის დღეები, როდესაც ჩვენს ფრონტებზე დროებითი სიწყნარე ჩამოვარდა. გახსომებათ ის სტიქიური ძალაც, რაც რუსეთს იმ შემარცხვენელ სეპარატიულ ზავისკენ მიაქანებდა, რომელსაც, როგორც მაშინ, ისე ეხლა ყველა პარტიები უარჰყოფენ. გახსომებათ ისიც, თუ რა ცდა და ჩალიში დასჭირდა დროებითი მთავრობას ფრონტზე მდგომ მასსისათვის შეეგნებინებინა, რომ შეუძლებელია იმ გზით ზავის ჩამოგდება და სახელმწიფოს ინტერესების დაცვა. მაისის და თიბათვის პირველი ნახევარი ერთობ ძნელი ხანა იყო რევოლუციისა. მაგრამ წარმოუდგენელი ხალისი და ძალა შეჰმატა ჩვენს წარმომადგენლებს და ჩვენი ჯარის ძლიერმა ივნისის შეტევამ. ავსტრიელებმა მდ. სანის იქით ადგილები დასცალეს. ამ შეტევის შედეგი იყო, რომ გადააყენეს კლამმარტინალი, რომელიც ავსტრიის წვრილ ერებისადმი დათმობის პოლიტიკას სათანადოდ ვერ აწარმოებდა. გერმანეთში კი დიდი ცვლილებები მოხდა. მთავრობის წრეებში ამ შეტევამ დიდი იმედი მისცა ჩვენ მოკავშირეებს, ასე რომ გაგრძელებული იყო ომი აქამდე გათავდებოდა (ხმები: „მართალია"). მაგრამ შემდეგ ისეთი ამბები დატრიალდა, რომელთაც სრულიად დაუკარგეს მოკავშირეებს ჩვენი იმედი. მე იმას არ გამოვუდგები, თუ ვისი ბრალი იყო ეს, რადგანაც ჩემის მოქმედების ფარგალს ეს არ შეეხება (მილიუკოვი ადგილიდან იძახის: „სანწუხაროა"). რუსეთის საგარეო პოლიტიკა, რომელმაც მაისში თავისი მიზნები დაისახა მის ყველა ნაწილებს არსებით ნაწილებათ სთვლის: ასეთია დაპყრობით ლტოლვილებზე უარის თქმა და ერთა თვით გამორკვევის უზრუნველყოფა. ამ ლოზუნგებს როგორც დროებითი მთავრობა ისე გარეშე საქმეთა სამინისტრო შეუძლებლად სცნობენ უარის განცხადებას. ეს ორი ნაწილი ერთ სრულ ერთეულს შეადგენენ და ჩემთვის გაუგებარია, რომ ეხლა მხოლოდ პირველ ნაწილზე ლაპარაკობენ, ხოლო მეორეზე ხმას არ იღებენ. ეს ტენდენცია თავს იჩენს ცენტრალ სახელმწიფოთა ყველა განცხადებებში. იმათაც აქვსთ ლოზუნგი, მხოლოდ მათ ლოზუნგს მეორე ნაწილი აკლია რუსეთის დემოკრატიული პოლიტიკა კი მოითხოვს ამ ლოზუნგის ორივე ნაწილის განხორციელებას. ერთა თვითგამორკვევის უფლება ისევე არსებითი ნაწილია ლოზუნგის, როგორც დაპყრობითი მიზნის უარყოფა. მე მიკვირს რად ამოკლებენ ამ ფორმულას. ეს საერთაშორისო მდგომარეობის უცოდინრობით თუ აიხსნება. და ვიდრე მას შევეხებოდე მე მსურს ცოტა რამ ვსთქვა რუსეთის სტრატეგიულს მდგომარეობაზე.

## სტრატეგიული მდგომარეობა.

იმ პირთა საწინააღმდეგოდ ვინც ამტკიცებს რომ ცენტრალი სახელმწიფოები გამარჯვებულნი დარჩნენ—მე ვამბობ: არა, მათ არ გაუმარჯვნიათ. გამარჯვება რომელიმე გეგმის განხორციელებას ნიშნავს, გეგმას კი მტრის დამარცხება უნდა ჰქონდეს სახეში. მტრებს ეს გეგმა არ განუხორციელებიათ. მარნის ბრძოლის შემდეგ მტერმა უკვე დაჰკარგა დასახულ გეგმის განხორციელების იმედი და აქტიური მოგერიება დაიწყო. გამარჯვება მისთვის თითქოს ადვილი შეიქმნა, როგორც იგი ფიქრობს, მაგრამ გეგმა კი არ ხორციელდება. ეს დებულება საკმაოდ შეგნებულია გერმანეთში. თუ უკანასკნელ ხანებში ყურადღებით თვალს ადევნებით რას სწერენ იქ, დაინახავდით, რომ მხოლოდ უკიდურესი მემარჯვენე პრესა ჰფიქრობს შემუსვრას ქვეყნიერებისას და სრულს გამარჯვების მოპოვებას. თვით ის მწარე განცდანი, რაც თავს დაატყდა იტალიეთს, მხოლოდ სასურველი ეპიზოდებია ცენტრალ სახელმწიფოებისთვის, რომ გამარჯვებით ფრთები შეასხან მეომრებს და თანაც ზავის საკითხი დააჩქარონ. ზავზე არასოდეს იმდენი არ ულაპარაკნიათ გერმანეთში, როგორც დღეს. მიუხედავად ამისა, მთავრობა არა გულწრფელად აცხადებს საქვეყნოდ კანცლერის პირით, რომ ამიერიდან საზავოდ ხელს აღარ გამოგიწოდებთ, განსაკუთრებით რაც პაპის ცდილობამ ამაოდ ჩაიარაო. მაგრამ სტყუიან, მოგვმართავენ და მომავალშიც არ დასცხრებიან. ოღონდ საჭიროა მიზნების გამოკვლევა. მოკლედ განგიმარტავთ ყოველისფერს. გერმანელები ყოველთვის წერილებში თუ სიტყვებში ხაზს უსვამენ ეკონომიურს მხარეს. რეიხსტაგში სწორედ ამის გარშემოა დიდი კამათი. საინტერესოა ვიცოდეთ, ამ მხრივ როგორ არიან შეთანხმებული მოწინააღმდეგე მხარეები, რა შეგვიძლიან ჩვენ მათ წინააღმდეგ წამოვაყენოთ, რომ ვაიძულოთ სასურველ გზაზე დაგვაყენოთ. მაგრამ ჩვენ ვიცით, ვინცაა გერმანეთში პოლიტიკის ხელმძღვანელი, ვიცით თუ ხალხი როგორ მისდევს მთავრობის ნებისყოფას.

## გერმანეთის იმპერიალიზმი და რუსეთი

გერმანელთა ომის მიზნების გამომხატველები ორ ჯგუფად არიან გაყოფილნი: ანექსიონისტები და ანტიანექსიონისტები. პირველთა ყურადღება მიქცეულია დასავლეთისა, ახალშენებსა, ბელგიისა და საფრანგეთისაკენ, მეორენი კი მოითხოვენ მშვიდობიან და ეკონომიურ პოლიტიკით რუსეთის დაპყრობას. ბოლო დროს ანტიანექსიონისტებმა გაიმარჯვეს ამათ პოლიტიკას ვერც იმპერიალისტურს დავარქმევთ და ვერც ტერიტორიის შემოერთებისაკენ მიმართულს.

## რუსეთის ბუფერი

ამათი მიზანია რუსეთი ეკონომიურად დააშორონ დასავლეთს არა ანექსიით, არამედ განსაზღვრული ბუფერულ ერთეულებით, რომლებიც ეკონომიურად ძალიან ძლიერნი იქნებიან ამნაირად, რუსეთი ვერ შესძლებს გერმანეთის წინააღმდეგ დასავლეთს შეუერთდეს და მეორეს მხრივ შეუძლებელი გახდება გერმანეთის მიერ რუსეთის ეკონომიურად დაპყრობა გერმანეთის მრეწველობის და შრომის საგნების რუსეთში შესვლით. ამ პროგრამებში, რომელთა შედგენაშიც გერმანეთის რამდენიმე მეცნიერი იღებს მონაწილეობას და რომელთაც სოციალდემოკრატიის ზოგი წარმომადგენელიც უჭერს მხარს, ნათქვამია, რომ სახელმწიფო ბუფერების შესადგენად საჭიროა რუსეთის ოლქების დაპყრობაო. გერმანეთს ამით სურს რუსეთის წინააღმდეგ გააძლიეროს ეს ბუფერები. მცირე გამონაკლისით ეს გეგმა ჩაიშლება, რის მაჩვენებელიც პოლონეთის მაგალითია.

## პოლონეთი

გერმანეთი ვერ შესძლებს პოლონეთის დამეგობრებას. რუსეთის ეკონომიური მისწრაფებანი პოლონეთისათვის საშიში არ არის. ყველა ბუფერებზე ნაკლებად პოლონეთს სურს გერმანელების მიზნების განხორციელება.

## ლიტვა და კურლანდია

გერმანეთი ეკონომიურად უფრო სუსტ და უძლურ ლიტვითა და კურლანდიით ისარგებლებს, რომლებიც სასოფლო მეურნეობით სარგებლობენ. გერმანეთს უკვე გამონაგარიშებული აქვს რის მიცემა შეუძლია ლიტვასა და კურლანდიას და გერმანელთა ახალშენების მოწყობას აპირებს. ამ შემთხვევაში რუსეთი დაჰკარგავს თავის საუკუნოებრივ მისწრაფების საგანს უყინავ ზღვისაკენ გასავალს. რუსეთი ამას ვერ შეიწყნარებს (ტაში).

## ავსტრიის სლავიანები

გერმანეთი თავისი პროგრამით, რომელსაც ანტიანექსიონისტურს უწოდებს, არღვევს რუსეთის სახელმწიფო ინტერესებს, თავის მოკავშირე სახელმწიფოებს ეკონომიურად იმორჩილებს. ჩვენ უნდა დავიცვათ რუსეთის ტერიტორია და გავაუმჯობესოთ ავსტრიის სლავიანთა მდგომარეობა, განსაკუთრებით ჩეხია. ზავრემიში ერთი ამბოხება მეორეს მოსდევს. სლავიანები სცდილობენ მიაღწიონ თავის წინაპართა მიზანს. ისინი ვერ შეურიგდებიან იმას, რომ სერბეთმა დამოუკიდებლობა დაჰკარგა. მე ვეცდები გაგაცნოთ ჩვენი მოწინააღმდეგეთა სულიერი განწყობილება, რომელიც იმის მაჩვენებელია, თუ ვინ დარჩება გამარჯვებული და ვინ იქნება დამარცხებული. გერმანეთი სცდილობს მოკავშირეთა და ჩვენს შორის განხეთქილება ჩამოაგდოს და რაც შეიძლება მალე გაათავოს ომი. ამიტომ იმ ამბების შესახებ, რომელიც რუსეთში ხდება, უნდა ვსთქვათ, რომ გამოვიკვლიოთ, რაში მდგომარეობს ჩვენი დადებითი და უარსაყოფი თვისებები.

## გაუგებრობა რუსეთში.

რუსეთი საოცარი ქვეყანაა. ჯარის დიდი ნაწილი, რომ დავითხოვეთ, ამით ის არ შესუსტდება. აუარებელი სურსათი არის სახელმწიფოში, მაგრამ ჩვენ არ გვაძლევენ ისინი, ვის ხელშიაც სურსათია. ასეთიც სიმშილი, მოძრაობა რკინის გზებზე სულ მოიშალა, მაგრამ ჩრდილოეთის მაგალითმა გვიჩვენა, რომ მოძრაობის აღდგენა სულ ადვილია. საქმის საერთოდ გამოსასწორებლად საჭიროა შეიქმნეს იმის შეგნება და იქიდგან უნდა იყოს ხალხის ნებისყოფა მიმართული, რომ სახელმწიფოს ძალები ამოძრავებულ იქმნეს სახელმწიფოს დასაცავად. ტყუილია ის ხმები, ვითომც მოკავშირენი აპირებდნენ ომი რუსეთის ხარჯით გაათავონ. პირიქით ომისა და ზავის საკითხებში რუსეთის როლი ერთობ დიდია.

## ზავის ეკონომიური პერსპექტივები.

გერმანეთი რუსეთს ისე უყურებს, როგორც თავისი მრეწველობის ბაზას. ომის გათავებისათანავე სავაჭრო ხელშეკრულებების დაუდებლად გერმანეთი აუარებელ საქონელს შემოზიდავს რუსეთში. ჩვენში განსაზღვრული წრეები თავისებურად აპირებენ გარდაჰქმნან მრეწველობა, რაც შეასუსტებს მას. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მრეწველობის დაცემა მეტის-მეტად სახიფათოა: ზავის ჩამოგდების შემდეგ ფრონტებიდან დაბრუნებული ჯარი სამუშაოს ვერ იშოვის. ამავე მდგომარეობაში ჩავარდება და ასეთივე ბედი ეწვევათ მოწინააღმდეგე სახელმწიფოებიდან დაბრუნებულ ჩვენს სამხედრო ტყვეებს. ამიტომ მრეწველობის აღდგენით თვით მუშათა წრეები უნდა დაინტერესდნენ. (ტაში მარჯვნივ). თუ გერმანელთა ნამდვილი ანტიანექსიონისტური პოლიტიკაც კი ჩვენთვის სახიფათოა, მაშინ, რაკი ვეომებით უნდა განვაგრძოთ კიდეც ეს ომი იმ სახელმწიფოებთან ხელიხელ ჩაკიდებულნი, რომლებსაც ბედმა შეგვყარა. უნდა შევუფარდოთ ერთმანეთს ჩვენი და მოკავშირეთა აზრი ზავისა და ომის საკითხებზე.

## პარიზის კონფერენცია

ამით აიხსნება ამ საკითხების პარიზის კონფერენციაზე მოხსნა. ამ კონფერენციაზე ჩვენ მთლიან ერთეულს უნდა წარმოვადგენდეთ (ტაში მარჯვნივ და ზოგან ცენტრში). რაკი ჩვენი მთავრობა კოალიციურია, ამიტომ კონფერენციაზე გამოთქმული ჩვენი აზრიც კოალიციის მაჩვენებელი უნდა იყოს. ჩვენს წარმომადგენლებს უნდა აერთიანებდეს სამშობლოს ინტერესები (ტაში, ხმები: „მართალია").

## სტოკჰოლმის კონფერენცია.

ბოლო დროს ბევრჯერ სცადეს ომის მიზნების დახასიათება და სულ ბოლო დროს სტოკჰოლმის კონფერენციის საორგანიზაციო კომისიამ გამოაქვეყნა თავისი შეხედულება მომავალ მტკიცე ზავზე. სტოკჰოლმის კონფერენციაზე მთავრობასა და რევოლუციონურ დემოკრატიას ერთი და იგივე აზრი ჰქონდა. კონფერენციას დიდი მნიშვნელობა აქვს განსაზღვრულ კლასების საზოგადოებრივ აზრის გამოსახატავად მაგრამ მას სახელმწიფო მთავრობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ექნება. მე საჭიროდ მიმაჩნია ჰოლანდია — სკანდინავიის სოციალისტთა ჯგუფის საზავო პირობების ზოგიერთი მუხლი შევადაროთ პარიზის კონფერენციაზე მიმავალ ჩვენი წარმომადგენლის ნაკაზს.

## უკანასკნელი დეპეშები

„ბერ. გრ." და „რუს. ვოლია" მხეზიან გერმანელ-ავსტრიელთა შეტევას იტალიეთის ფრონტზე. პირველი ამბობს: „გერმანელები სრულიად ძალდაუტანებლივ ხელში იგდებენ ევროპის ყველა სარკმლებს და ამით ესწრაფვიან გერმანელთა სასარგებლო ზავის ჩამოგდებას, რაზედაც ასე რიგად ჰკივიან ჩვენებური პაციფისტები. ეს უკანასკნელნი დაბრმავებულნი და ვერ ხედვენ, რომ ამით ზავის საკითხს უფრო აგრძელებენ, ვიდრე აჩქარებენ". მეორე გაზეთი კი იმედს გამოსთქვამს, იტალიელები ჯერ სულით არ დაცემულან და აღფრთოვანებულნი არიან ყოველ მძიმე განცდას მამაცურად შეჰხვდნენო.

დროებით მთავრობამდის მოაღწია ამბავმა, რომ მთავარი სეკრეტარიატი მონაწილეობას მიიღებს უკრაინელთა სეპარატიულ დამფუძნებელ კრებაში. დროებითმა მთავრობამ გაიწვია ვინიჩენკო ვითარების გამოსარკვევად, ამასთანავე აჩერებს 300 ათას მან. სეკრეტარიატის გარდასაცემად.

# ქრონიკა

## თბილისი

### ერთი დღე-ღა დარჩა

არ დაგვავიწყდეთ გამოძიება, შეტანილი ხართ თუ არა დამფუძნებელ კრების საარჩევნო სიებში. თუ ეს ამ დღეებში არ გამოიძიეთ, შესაძლოა თქვენ ხმა დაჰკარგოთ და არჩევნებში მონაწილეობა ვერ მიიღოთ. ამით დამფუძნებელ კრების შემადგენლობაზე თქვენ ხმით გავლენას ვეღარ მოახდენთ. ერთი დღე და დარჩა. სიების შესწორება ამ თვის 20-დე შეიძლება.

— **დამფუძნებელ კრების არჩევნები.** დამფუძნებელი კრების არჩევნები დაიწყება გიორგობისთვის 12-ს და 7 დღის განმავლობაში, ე. ი. გიორგობისთვის 18-მდე გაგრძელდება. საარჩევნო ბიულეტენებზე არა მარტო მორიგი ნომერი იქნება აღნიშნული, არამედ კანდიდატის ვინაობაც. თბილისი 30 საარჩევნო უბნად დაიყოფება. მუსულმანთა რაიონებში ქალებისათვის ყველგან ცალკე იქნება საარჩევნო ბინა. თანახმად სამხედრო მინისტრის დადგენილებისა, კავკასიის მხედართმთავრობამ გენერალმა პრჟევალსკიმ, ფრონტის სამხედრო კომისართან შეთანხმებით ნება დართო ფრონტზე ჯარისკაცთა ეროვნულ კრებების მოწვევისა დამფუძნებელ კრების საარჩევნო საქმეებზე სათათბიროდ, მაგრამ იმ პირობით, რომ კრებებმა ხელი არ შეუშალონ სამხედრო ოპერაციებს.

**მილიონერთა გაქურდვა.** კისლოვოდსკში სასტუმროში გაჰქურდეს ლიანოზოვი, მანთაშევი და სხვა მილიონერები. წაღებულია 200 ათასზე მეტი.

— **სურსათის მიღება.** ღვინობისთვის 18 ს საგუბერნიო სასურსათო გამგეობამ მიიღო 6 ვაგონი ფქვილი, რომელთაგან 1 ვაგონი სიღნაღს გაუგზავნა და 5 ვაგონი გორს.

— **სათესლე მასალა.** საგუბერნიო სასურსათო გამგეობას მიეწოდებია სოფლებისათვის სათესლედ 39 ვაგონი ხორბალი და 8 ვაგონი ქერი.

— „საქართველოს" რედაქციამ მიიღო შემოწირულება ქართულ გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოს სასარგებლოდ სოფ. ძევერაში 20 ივნისის გავშლების მიერ გამართულ წარმოდგენიდან შემოსული ფული ოცდა ხუთმეტი (35) მანეთი ექიმი დ. ე. ჯავახიშვილის ხელით.

— **პურის ახალი დუქნები.** გუბერნიის სასურსათო კომიტეტმა დაადგინა, რომ ყველა იმ დუქნებს, რომელთაც კი საწყობი და სხვა საჭირო მასალები აქვს პურის გაყიდვა დაავალოს. პურის გაყიდვას ეს დუქნები ქალაქის სასურსათო გამგეობის პირველ მოთხოვნილებისამებრ შეუდგებიან. პურის გამყიდველნი შესაფერს ჯილდოს მიიღებენ. მათი დუქნები დილის 6 საათიდან იქნება ღია.

— **ქართული კლუბი.** ხუთშაბათს, 19 ოქტომბერს ქართვ. მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქმნება ახალი პიესა: ომი, არციბაშევისა.

— **საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის** მეათე და მეთორმეტე უბნის წევრთა და თანამგრძნობთა კრება დანიშნულია კვირას, 22 ოქტომბერს, დილის 11 საათზედ „ახალი სკოლის"-ს საზამთრო ბინაზედ, მიხეილის პროსპექტი, № 129, სახლი მარტისა. განსახილველი საგნები: 1. დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის სამზადისი და საარჩევნო კანონები, 2. საორგანიზაციო საკითხები და სხვა.

— **თბილისის ქალთა საეპარქიო გიმნაზიაში.** ახლად მოწვეული მასწავლებელი გიმნაზიისა ს. დანელია გადაყვანილ იქმნა ფოთის გიმნაზიაში. ამის გამო საეპარქიო გიმნაზიაში განთავისუფლდა 21 გაკვეთილი რუსული ენისა, მისი მეთოდიკისა, რუსულისა და უცხოეთის ლიტერატურისა V—VIII კლასებში. უცხოეთის ლიტერატურა (5 გაკვეთ.) ქართულად ისწავლება. მთხოვნელებს შეუძლიათ მიმართონ საეპარქიო გიმნაზიის პედაგოგიურ საბჭოს.

— **მოწაფეთა გაფიცვა თბილისის კულტურ ტეხნიკურ სასწავლებელში.** კულტურ-ტეხნიკურ სასწავლებლის მოწაფეთა კომიტეტმა სასწავლებლის ადმინისტრაციას პირობები წარუდგინა. ადმინისტრაციამ მოწაფეთა დაკმაყოფილება შეუძლებლად სცნო, რის გამოც მოწაფეები გაიფიცნენ.

— **ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება** ჰმართავს დღეს, 19 ოქტ. წარმოდგენას „არტისტიულ თეატრში". იმედია, ქართველი საზოგადოება ყურადღებას მიაქცევს და თავის დასწრებით ხელს შეუწყობს პატივსადებ დაწესებულებას.

— **დეპეშები სამხედრო ტყვეებისათვის.** ფოსტა-ტელეგრაფის სამინისტრო სამხედრო ტყვეთა ცენტრალ საინფორმაციო ბიუროს ატყობინებს ღვინობისთვის 19-დან ჰუნგრეთში მყოფ ტყვეთათვის გადასაცემად კვლავ მიიღება ჩვეულებრივი საჩქარო და ფას გადახდილ პასუხიანი დეპეშები, რომლებიც შვეციიდან ბოდენით ბუდაპეშტში გადაეცემა. დეპეშების მისამართი ესეთი უნდა იყოს: „სტანციონ ბოდენ რადიო". ამის შემდეგ მისამართი, დეპეშა ხელმოწერილი უნდა იყოს. ადრესში იღებენ 25 კაპ. ფინლანდიაში 32 პენნის. ტექსტის თითო სიტყვაში—48 კაპ., ფინლიანდიაში—$63\frac{1}{2}$ პენნის. დეპეშა უნდა დაიწეროს ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე. მისამართში აღნიშნული უნდა იყოს „პრიზონ-იეგერ" ან და „კრიგსგეფანგენ". თუ არა და შემოკლებით: „პგ." ან „კგ."

— **სამოსწავლო კომისარიატმა** ნება დართო სიმონ და თეკლე გრიაშვილებს გახსნან თბილისში 1 ნოემბრიდან ქართული სრულ-უფლებიანი გიმნაზია ორთავე სქესის ყმაწვილთათვის.

## ეკლესიის გარშემო

ენისეის ყოფილმა ეპისკოპოსმა ბეზსონოვმა სარწმუნოების მინისტრს კარტაშევს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა:

საჭიროა დაუყოვნებლივ განხორციელებულ იქმნას სემინარიაში და სხვა სასწავლებლებში ნაციონალიზაცია, რევოლუციის შემდეგ უგუნურებაა, სირცხვილია, რესპუბლიკურ მთავრობის ნამდვილი თავისმოჰრაა, რომ ძველი რეჟიმის მეთოდებით ხელმძღვანელობს. სულ ერთია, სამართლიანობა თავისას იზავს, უნებურად ფაქტად იქცევა სკოლის გაეროვნების საქმე და დღევანდელი საქციელი კი ჩამოურეცხელ ლაქად დარჩება...

## თბილისის ქალაქის საბჭო

(დასასრული)

### კადეტთა შეკითხვა სურსათის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარე კითხულობს კადეტების შეკითხვას, რომელიც მელიქ-კირაკოზოვის მიერ არის ხელმოწერილი. შეკითხვაში აღნიშნულია, რომ სურსათის საქმეს ჯეროვანი ყურადღება არ აქვს მიქცეული. მცხოვრებთა მდგომარეობა აუწერელია. არის მაგალითები, როდესაც მშიერი ხალხი მთელი ღამით სდგანან რიგში. მელიქ-კირაკოზოვი გაოცებულია მცხოვრებთა მოთმინებით და ზომების მიღებას თხოულობს.

განცხადებას უერთდება ათაბეკოვიც, რომელიც ჰხატავს მცხოვრებთა უმწეო მდგომარეობას, აუტანელ პირობებს და მდგომარეობის გასაუმჯობესებლად სახლის კომიტეტის დაარსებას მოითხოვს. ამ შეკითხვას უერთდებიან დაშნაკცაკანებიც. ესენი ჰფიქრობენ სასურსათო კომიტეტის წინააღმდეგ გალაშქრებას, საბუთად შავი ორთ-ცხობილი (სუხარი) მოუტანიათ. ორთ-ცხობილას სხვა ფრაქციების ხმოსნებს ურიგებენ და თან სათანადოდ უხსნიან მდგომარეობის მნიშვნელობას.

ჯამალიანი იზიარებს წინა ორატორების აზრს და ადიარებს, რომ ის ორგანოები, რომელთაც ჩაბარებული აქვთ სასურსათო საქმე, რიგიანად ვერ მოქმედობენ. დასამტკიცებლად მთელს საბჭოს ორთ-ცხობილებს უჩვენებს. ჯამალიანის აზრით სასურსათო კომიტეტი გაუქმებული უნდა იქმნას, რათა სასურსათო საქმე ქალაქის ხელში გადავიდესო.

**რუხაძე.** მე არ ეთანხმები განმცხადებებს, რომ სასურსათო კომიტეტი მზად არის თავისი ვალდებულება გადასცეს ქალაქს. რაც შეეხება, ვითომც სასურსათო კომიტეტი ყურებს აბრტყელებდეს მცხოვრებთა გაჭირვებაზე, სიცრუეა. როგორც ხუთშაბათს განვაცხადე, სასურსათო კომიტეტმა გაამრავლა პურის სავაჭრო დუქნები, მაგრამ რიგში მდგომმა ხალხმა ნება არ მოგვცა ფურნიდან მეორე ადგილას გადაგვეტანა პური და ისე გაგვეყიდა. ხალხს ეშინოდა რომ, თუ პურს წაიღებდნენ ფურნიდან, მაშინ მცხოვრებლები სრულებით უპუროთ დარჩებოდნენ. ხალხი მზად იყო მთელი დღეები რიგში გაეტარებინა, მაგრამ პურის გადატანის ნება კი არ დაერთო.

**ამ. გეგეჭკორი.** მე ვერ მაკმაყოფილებს დაშნაკცაკანთა და კადეტთა განცხადება. ასეთ საშუალებით კუდების მოსპობა შეუძლებელია. აქ ბევრს ლაპარაკობენ სასურსათო კომიტეტის წინააღმდეგ. მე არ ვიტყვი, რომ ეს კომიტეტი გენიალურად იქცევა, მაგრამ რა ვქნათ, როდესაც პური არ იშოვება. ჯერ კიდევ არაფერი. მოვა დრო, როდესაც ამიერ-კავკასიის მცხოვრებლებთან ერთად მრავალრიცხოვანი კავკასიის ჯარიც დაიმშევა. მე მხოლოდ მაკვირვებს ის დემონსტრატიული გამოსვლა, რომელთაც დაშნაკცაკანები და კადეტები მიმართავენ ხოლმე. ეს სამარცხვინო ხელობაა. ეს დღევანდელ მძიმე მომენტის სპეკულიაციაა.

**იაგუჯიანი** (დაშნაკ.). მენშევიკებს ჩვეულებად სჭირთ, რომ დაშნაკცაკანთა პარტიას ლექციები უკითხონ... ჩვენ მენშევიკები ღირსად არ გვთვლიან, რომ მათთან ხელი-ხელ ჩაკიდებული ვიმუშავოთ. ამის გამოა, რომ ენერგიული, მშრომელი პარტია გამორიყულია საქალაქო საქმეების მუშაობიდან (ისმის ხმები—„აი რაში ყოფილა საქმე"). ჩვენ დაშნაკცაკანები ვაკრიტიკებთ საქალაქო საქმეებს სალი შეხედულობით. ვსარგებლობთ რა შეკითხვით, ჩვენი მიზანია დავეხმაროთ ქალაქს. თქვენ კი მუდამ ჩვენს წინააღმდეგ ხართ დარაზმული. ჩვენს შეკითხვას ყოველთვის პროვოკაციას და დემაგოგიას უწოდებთ. ათასჯერ კარგი იქმნებოდა, თუ ამის მაგიერ სამუშაოდ მოგვიწოდებდით.

**ნ. ჟორდანია.** ალ. ხატისიანის გამოსვლა, ეს სკანდალური მოვლენაა. ასეთი გამოლაშქრებით დაშნაკცაკანები პარტიულ ვაჭრობას ეწევიან. დაშნაკცაკანები ჩვენს წინააღმდეგ იმიტომ იბრძვიან, რათა დემოკრატიის დაცხობა გამოიწვიონ. ტრამვაის ძველ ტარიფს იმიტომ იცავენ, რათა ქალაქის კასა გააკოტრონ და ქალაქის კასასთან ერთად დემოკრატიაც გააკოტრონ... დაშნაკცაკანები ყოველთვის რომელიმე პარტიულ მიზანს ემსახურებიან. დღევანდელი მათი გამოსვლა, ეს დამფუძნებელი კრების არჩევნების აგიტაციაა.

კამათი დიდხანს გრძელდება. კადეტებს, დაშნაკცაკანებს და ბოლშევიკებს სასტიკი იერიში მიაქვთ მენშევიკებზე. ბოლოს და ბოლოს კამათი საზოგადო სფეროს ჰშორდება და კერძო კინკლაობაზე გადადის. ბოლშევიკები მენშევიკებს უმოქმედობას უკიჟინებენ, როგორც დაშნაკცაკანები და კადეტები.

მენშევიკები თავიანთი მხრივ დაშნაკცაკანებს და კადეტებს რევოლუციის მტრად ჰსახავენ, ხოლო ბოლშევიკების გამოსვლას პირადული მოსაზრებით ხსნიან.

ბოლოს მელიქ-კირაკოზოვი აცხადებს, რომ შეკითხვას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდაო და საკითხს ჰხსნის.

სხდომა ღამის 2 საათზე დაიხურა.

მ. ხარიბელი

# პატარა ფელეტონი

## დღესაც იქ არიან

(ამბავი)

I

თეირანის მოურავმა ასან ბეგმა გამოაცხადა: „რუსეთის იმპერიაში ეხლა რესპუბლიკაა... ვისაც გსურთ სამშობლოში დაბრუნება, შეგიძლიანთო... სპარსეთი სპარსელებისაა, ქართველებსაც შეგიძლიანთ თავისუფლად საქართველოში ამოისუნთქოთო"...

ასან ბეგსაც რომ არა ეთქვა რა, სეიდ იაშვილი თავის ოჯახით ისედაც აპირობდა თავის სამშობლოში დაბრუნებას...

მას ცოლი ჰყვანდა—ჯეირანა და ერთი ვაჟი-შვილი—სამმი.

სეიდს სახლ-კარიც ჰქონდა თეირანში, მაგრამ აიწუმში არ მოსდიოდა.. სამშობლოსკენ იტრფოდა!..

— სიცოცხლე და მშვიდობა იყვეს, თორემ ჩემ წინაპართა მიწა-წყალში არ გამიჭირდება ცხოვრება...

— სადაც გავირჯებით, ყველგან შევჭამთ პურსაო,—ეთანხმებოდა ცოლი: სპარსელების მუნათი და სამდურავიდამ აშოვალთ მაინცაო.

— მამა სულ იმის ნატვრაში იყო —ერთი როდის გვეშველება და დავბრუნდებით ჩვენ სამშობლოშიო,—ერეოდა მასლაათში პატარა საამი: აი კიდეც აუსრულდა ნატვრა—საქართველო თავისუფალია. საყდარიც აღსდგაო...

— ეგრეც უნდა იყოს, შვილო,—ეუბნებოდა სეიდი საამს: პირუტყვი ხომ არა ვართ, მარტო კუჭი გვწამდეს?.. ჩვენ სჯული და სამშობლოც უნდა ვიწამოთ... მარტო ქვა და ლოდმა არ იცის სიყვარული...

— დედ, ყველას თავის მიწა-წყალი მოხმარდესო,—კვერს უკრავდა დედა: სპარსელები თვალდ შევიწროებული არიან, რაღა ჩვენი შეწუხება უნდათო...

. . . . . . . . .

II

სეიდმა ხელად მიჰყიდ-მოჰყიდა რაც ებადა და გახარებული გამოემგზავრა თავის ოჯახით საქართველოსკენ, მით უფრო, რომ ქართველობაც იწვევდა და ხელს უწყობდა, ურჩევდა დაბრუნებას...

სეიდს გაგონილი ჰქონდა, რომ მისი მამა-პაპა იმ უბნიდამ იყვნენ ტყვედ წამოყვანილნი, სადაც ეხლა მეჩეთია და იმედოვნებდა კიდეც აბანოს უბანში თავის პაპის სახლი მოენახა-მოეძებნა...

ჯეირანაც ოცნებობდა: ენახა თავის წინაპართა კალოს უბანი და იქ სადმე მტკაველს მიწაზე მოეკალათნა—მოეშენებულიყო...

საამი იმშვილი ხომ სიხარულით ცმუკავდა: ქრისტიანული გვარი დამაქვს და გავქრისტიანდები კიდეცაო. ქართულად მივიღებ სწავლა-განათლებასაო... ჩვენი გვარისა სისხლი და ხორცი საქართველოში ბევრნი არიანო...

. . . . . . . . .

III

შეზინდდა და სეიდი თავის სახლობით სამზღვარზე გააჩერეს: გამვლელ-გამომვლელს აღარ უშვებდნენ...

სწორედ მიზეზი არავინ იცოდა, მხოლოდ აქა-იქა ხმა გაისმოდა: „თბილისში ბინა აღარ არისო“... „პური შემოაკლდა და შიმშილ-წყურვილმა იჩინა თავიო“... „მოსალოდნელია ქური და დარბევაო“...

სეიდი შეფიქრიანდა... ჯეირანაც სწუხდა... საამიც მოიბუზა...

არც თუ საკვირველია: ცის ქვეშ და შარა-გზაზე უხდებოდათ მათ ღამის გათევა!.. მერმე ყინვა და ქარიშხალი არ ყოფილიყო მაინც!

სიცივე ტანში ატანდა და... პატარა საამი რომ გენახათ შეგებრალებოდათ! ფიცრულთან კუთხეში ორად მოკეცილი იყო და ცახცახებდა. დედმამა თავს დასტრიალებდნენ და ქარიშხალს წყევა-კრულვას უთვლიდნენ.

— გავძლოთ როგორმე, — ერთმანეთს ანუგეშებდნენ ცოლ-ქმარი: ხვალ დილა მშვიდობისა გაგვითენდება... ჰო! ლამის არის ამ სიკეთის დროს...

მშობლებს შვილის დარდი ჰქონდათ, თავის თავი აღარ ახსოვდათ...

— ნუ გეშინიათ, კარგად ვიქნები,—კბილებს აცახცახებდა საამი. ეგება გამოიდაროს.. მზე ამოვიდეს...

. . . . . . . . .

IV

ცოლ-ქმარს სიცოცხლეს ის უფრო უუხამავდა, რომ საქართველოდან კაი ამბები არ ესმოდათ: ვითომდა ქართველები დაყოფილიყვნენ რამდენიმე ჯგუფად და ერთმანეთს სჭამდნენ! ვითომ და ივერიის ძე-ასულნი გადაგვარებულიყვნენ და თავისი არაფერი სწამდათ...

— თუ ეს მართალია, სად მივდივართ, რომ მივდივართ,—ეკითხებოდა სეიდი ჯეირანს: თურმე კურტნიანი მუშის ფარჩილი ურჩევნიათ მამულდედულის მოსიყვარულე თავს და ჩვენ რაღა მაზალო ვიქნებით?!

— ნუ დაიჯერებ, — უქარწყლებდა სიტყვას ჯეირანა: იმასაც ამბობენ—ბინა აღარ არისო, მაგრამ... თუ კი ჩვენმა ქართველებმა მთელი რუსეთი შესძრეს, ნუ თუ ჩვენთვის კუთხეკუნჭული შეჰშურდებათ?! გაუჭირდებათ მოგვეთავსონ სადმე?! არა, არა მგონია სხვის გამკითხავმა თავისი არ გაიკითხოს?!

თურმე, ამბობენ, ქართველები რომ არ ყოფილიყვნენ, ვერც რევოლუცია მოხდებოდაო, — ამაყობა ეტყობოდა კიდეც სეიდს: თურმე თავისუფლების სულის ჩამდგმელნი ქართველები ყოფილან—ჩხეიძეს ამბობენ და წერეთელს! თქვენი ჭირიმე თქვენი, ისევ თქვენ, თორემ სხვა ვინ გვასახელებს?! ჰხედამ საამ! ქართველები რანი ვყოფილვართ?!

— მცივა მამი, მაცახცახებს, ლამის არის გავიყინო... ჩქარა წავიდეთ...

— წავალთ შვილო, აი, გათენდეს...

— დედა მოგიკვდეს შვილო—როგორ გაცახცახებს! კი არ გამიცივდე...

V

გათენდა... ჩავარდა ქარიშხალიც!.. ქარიშხალის ბადლათ ახლა ისმოდა ჯეირანას საცოდავი წივილ-კივილი...

— ვაიმე შვილო საამ...

სეიდიც თავში იშენდა—ბღაოდა...

— შვილო საამ...

საამი იმ ღამეს სიცივისაგან გაყინულიყო...

დღესაც იქ არიან საცოდავები: არც იციან სად წავიდნენ: უცხოეთიდამ გამორეკეს, სამშობლოშიც... შეიკედლებენ?!

ვ. დუშელი.

# პური საქართველოში.

ძველდ პური, ძველდ ღვინო,
წლით-წლობამდინ გამყოლია.
ქართველი.

ყოველ დღე გვესმის, თუ პური რუსეთიდამ არ მოვიდა, ჩვენ დავიმშევითო. ეს სადღეისო მწარე სიმართლეა, მაგრამ ასრე არ იყო ძველად: მაშინ საქართველო ჰკვებავდა არა თუ მარტო თავის თავს, არამედ მეზობელ ხალხებსაც, ოსებს, მთიულებს, მთიელ დაღისტნელებს, თვით სპარსეთსაც ხანდისხან. ხვნა-თესვის მიმდევრობის გამო ბერძნები თვით ჩვენს ქვეყანასაც უწოდებდნენ „გიორგიას“, რომელიც ნიშნავს მიწის მუშაობას. ამ მხრივ ქიზიყი ითვლებოდა საქართველოს ბეღლად. დაშთენილა ასეთი შვენიერი დახასიათება ჯავახეთისა:

„მე ჯავახეთს რა მიშავდა:
მთვარე მედგა მზესავითა,
კალმახი და ქერის პური
წინ მეყარა ზესავითა“.

მოგზაურ დელაპორტს არ ენახა ქვეყანა, სადაც ისე ტკბილად ისაზრდოებოდა ხალხი თავის სანოვაგით, როგორც საქართველოში.

ვახუშტის დროს პანკისის ხეობაში ისეთი გლეხი არ იყო, რომ არ ჰყოლოდა 500—1000—2000 ლორი.

ირაკლის დროს რაღაც 13—15 მანათად უხვად იკვებებოდა მთელი ხუთსულოვანი ოჯახი თვის განმავლობაში.

1741 წელს მარტო ქართლ-კახეთმა სპარსთა ლაშქარს მიაწოდა 300,000 კოდი პური და ქერი, მერე კიდევ 6000 ხარის საპანე, კიდევ 3000 ურემი პური (ურემზედ იდო თითოს 200 ლიტრა), კიდევ 2000 ურემი. ესეც არ ეყოთ და კვლავ მოითხოვეს 2,000.000 ლიტრა.

ეს ასე იყო. ქართველი მაშინ ეგრედ-წოდებულ წმინდა პურს სჭამდა, შერეულსა და მჭადს არ ეწყობოდა. ახლა კი მჭადიც გვენატრება და მუდამაც ასე იქნება: სხვის იმედზე დამყარებული მუდამ მშიერი, გაჭირებულია, მუდამ სხვის მონაა, თითქმის ყმა.

მერე რათ ვიჭირებთ თავს, რატომ არ ვიძებთ არსობის პურს? მართალია, წიგნი ამბობს „არა პურითა ხოლო ცხონდების კაცი“, მაგრამ უპურობა მაინც ჰბადებს ბოგანობას, ავკაცობას. საჭიროა მოვიყვანოთ პური, დავიპუროთ თავი სურნელოვან განმტკიცულით და არა ვიკვებოთ რაღაც ლეურდო ნარევით, რომელსაც პურად ასაღებენ ჩვენზე. მაგრამ რომელიც ჩვენ მიერ დაწუნებულ უწინდელ მჭადზედაც მდარეა და ალქატი.

მადლობა ღმერთს, მიწა-წყალი იგივე უწინდელი გვაქვს, უხვი, ნაყოფიერი. უკლოთ მწარე თამბაქოს თესვას და ვუმატოთ ოქროს ქარვისფერ პურისა, სიმინდისა, შვრიისა, ღომის და ქერის თესვას. გავღონიერდეთ „არსობის პურით“, რომელიც ჯან-ღონესაც მოგვცემს და ჯანმრთელობას. ამასთანავე მოგვცემს შეძლებას უკეთესად ვლვზარდოთ შვილებიც და სხვის ხელში შემაცქერლობასაც დავახწიოთ თავი. პატიოსანი შრომა წმინდაა, ვით წმინდა პური, და თან ამშვენებელი კაცისა, ხთელის ერისა. ვთესოთ და ვიძახოთ ძველებური ტკბილი ჰოროველა, გმირული ჰოოპუნა.

მ. ჯანაშვილი

# საქართველოს ეკლესია უსტამბოდ

ძველს საქართველოში, როგორც სხვა ქვეყნებშიც, წიგნები იწერებოდა და ვრცელდებოდა ხელთნაწერობით და ამისათვის საქართველოს თითქმის ყოველ დიდ მონასტრებსა და სასწავლებლებში გამოულევლი იყო გადამწერთა შტატი ქორ-ეპისკოპოსთა მეთვალყურეობის ქვეშ. ამ სიძნელის დასაძლევად ქართლის მეფემ ვახტანგ მე-VI-მ საქართველოში პირველად შემოიღო სტამბა და მიჰყო ხელი წიგნების ბეჭვდას. მაგრამ ეს ბედნიერი დრო დიდხანს არ გაგრძელდა. როცა ვახტანგ მეფე 1724 წ. პეტრე დიდმა რუსეთში გაიწვია, მან თან გაიყოლა ქართლის საუკეთესო მოხელობა და მწიგნობართა დასი სტამბის პატარა ნაწილით. ეს ქართველნი გვამნი ოცნებობდნენ, რომ რუსეთიდან უფრო ადვილად შეეძლებათ წიგნების სტამბვას და გზავნას საქართველოს განსანათლებლადაო, მაგრამ მოსტყუვდნენ. მოსტყუვდნენ აგრეთვე ის ბატონიშვილებიც (ბაქარი, ვახუშტი და არჩილი), რომელნიც შემდეგ გადასახლდნენ რუსეთში და თან გაიყოლიეს შემდეგში მონაფილეები სასტამბო საქმენიც. ამათი ყველა შრომა მცირედროებითი ხასიათის იყო,—სანამ ამ დიდებულ გვამთ იცოცხლეს, იმუშავეს კიდეც, მოასწრეს ღვთისმსახურებისთვის საჭირო წიგნების შესწორება, დასტამბვა და საქართველოში გამოგზავნა, მოგვაწოდეს ორიოდე საკითხი წიგნიც და როცა თითონ აღარ იყვნენ, შესწყდა რუსეთში ქართული სტამბის მუშაობაც, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჩრდილო კავკასიაში მქრთლად მომუშავე ქართველ ბერობას. უქმად დარჩენილ სტამბებს ზოგს სინოდი დაეპატრონა, ზოგს სამეცნიერო აკადემია. და თუ მე-XIX საუკუნემდე კიდევ რამ სტამბა მოაგვარეს თბილისში ქართველებმა, ისინიც რუსეთთან შეერთების შემდგომ შთაინთქნენ ჩვენივე მოუვლელობით, რადგან ჩვენს მამებს უფრო რუსის არქიელების ლოიალობაში აშოსიდოდათ სული, ვიდრე დაცემულ ერის აღორძინება-განვითარებაში. ასე რომ მეცხრამეტე საუკუნიდან ქართველ სამღვდელოებას აღარც სტამბა მოგვეპოება, აღარც გადამწერთა დასი. დღევანდლამდე ქართულ სასულიერო წიგნების ბეჭვდა-გავრცელების საქმე ხელთ ეპყრა ჩვენს მამინაცვალს რუსეთის სინოდს და მის ჩამოდამა მძინარა სინოდის კანტორას.

ეხლა მეოცე საუკუნეა და ქართველი სამღვდელოება სჩივის, რომ მათი საყდრები ყოველგვარ წიგნებისგან გამოფხეკილია, წესებს ასრულებს დაგლეჯილ-დაფლეთილ წიგნებით და მათ მაგივრად კი უხვად აწყვია თაროებზე: „დუხ. ვესტ.“, „ცერკ. ვედ.“, რუს არქიელთა ქადაგებანი, ქართველთ მოძულე ვოსტორგოვის ბროშურები და სლავური წიგნაკები. ყველაზე მეტად სავალალო ის უფროა, რომ რუსეთის უკულმართმა სინოდმა ამ ასი წლის განმავლობაში არამც თუ რამე შეჰმატა ქართულ საეკლესიო მწიგნობრობას, არამედ პირიქით თუ კი რამ მოგვეპოვებოდა ამისთანები ჩვენს საყდრებში სულ ერთიანად წაილო, გაზიდა, გახვარცლა. სასულიერო და საერო მთავრობანი კავკასიისა თითქმის ერთმანეთს ეცილებოდნენ ამ საქმეში. დღეს პეტროგრადის საჯარო ბიბლიოთეკას ამშვენებს უდიდესი განყოფილება ქართულ ხელთნაწერებისა. „პრავიტ. ვესტ.“-ში საიუბილეო ანგარიშის წერილში ვკითხულობთ: „პეტროგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში არის მთელს ქვეყნიერობაზე უდიდესი კრება ქართულ ხელთ-ნაწერებისაო“. უნდა გამოვტყდე, რომ ასეთ დასადუპ საქმეში წილი უდევთ აგრეთვე ჩვენ უვიცს მამებსაც. ერთმა მოხუცმა მღვდელმა ს. ბადაევმა (ჯარიაშვილადაც იხსენიება) 1905 წ. მნახა, რომ ზეპირგადმოცემათა ხელთნაწერებს მეყაითად ვეძებდი და ვაგროვებდი, დამაკვეხა: „მე რომ არქიელმა ჯილდობაში ბლაღოჩინად გამამწესა ფშავ-ხევსურეთში, სადაც კი საყდრებსა და მიმალულ კლდეებში ხელთნაწერი წიგნები, ხატები, ვერცხლეულობა მოვახელე, ერთ საძნე ურემზე დავუდე და თბილისში არქიელს მივართვიო“ და თანაც დაუმატა, ხევსურების დეკანოზებმა და ხევისბერებმა ცოტა გაწყდა კინაღამ მომკლესო. ჩემს შეკითხვაზე, თუ ასეთი უგუნურება და სამშობლოსადმი მომაკვდავი ცოდვა რად ჩაიდინე მეთქი, მომიგო: „შენ რა ძრიელ გეწყინა, შენ რა ცრემლი გერევა, შენი ხომ არაფერი წამიღიაო“. და მე, როცა დალაგებით განვუმარტე ნაშთების მნიშვნელობა და საქართველოს ისტორიის სიდიადე, იმანაც ბევრი ინანა, თავშიც შემოიკრა, მეტადრე ნანობდა, რომ იმ ნივთებში ერთი რაღაცნაირი ქვაც იყოვო, ფშავ-ხევსურნი მაზედ ლოცულობდნენ, ბევრნაირ ავადმყოფებსაც არჩენდა, კლდეში ინახებოდა, ზოგი თილისმას ეძახდა, ზოგი მძივს, ზოგი გორგასლანის ინდოურ ქვას, სითბოც ჰქონდა ცოცხალივით და შუქსაც იძლეოდაო. შეიძლება მუნებითი რაღაც იყო! ასე დაუღუპნია კრილოვის მამალს საქართველოს მარგალიტები მილიონებისა „ბლაღოჩინობაზე“...

ეხლა ეროვნულ ეკლესიას ვუჩინეთ რა თავი—პატრიარქი, საჭიროა ამასთანავე შევუდგეთ საღმაშენებლო მუშაობას, აღვადგინოთ ყოველივე მიძინებული მხარე სულიერ ცხოვრებისა, ავამაღლოთ ეკლესიაში ეროვნული მაჯის ცემა, განვაგრძოთ მწიგნობრობის საქმე, ავამეტყველოთ ეკლესია. ამისთვის უპირველეს ყოვლისა ქართველმა სამღვდელოებამ უნდა გაიჩინოს პირველ-ხარისხოვანი სტამბა. დღემდე თუ არ გაგვაჩნდა სარჩელი ჩავრულ სამღვდელოების სავითარებლად, ვერ ვიქონიეთ რიგიანი ქართული სასულიერო ორგანო, ეს მხოლოდ საკუთარ სტამბის უქონლობისა გამო. დღემდე სტამბის გაუჩენლობას იმდენად ნივთიერი შეუძლებლობა კი არ აბრკოლებდა, არამედ ჩვენი ფართოდ შეუჯგუფლობა. დღეს ეს მიზეზიც საკმარისად ძლეულია. ამიტომ სამირკველი ქართული სტამბისა, რომელიც რუსეთში იმყოფება და სადაც იბეჭდება ხოლმე ქართული საეკლესიო წიგნები, უნდა ჩამოვიტანოთ თბილისში, უნდა შევავსოთ და გავაფართოვოთ ყოველ მხრივ, რომ ადვილად შეიძლებოდეს ყოველგვარ ხუცურ-მხედრულ ასოებით წიგნების ბეჭვდა. სტამბის თანხის შედგენაში უნდა მიიღოს მონაწილეობა პაის სახით ყოველმა ქართულმა საყდარმა შეძლებისდაგვარად ერთდროულად. რაოდენობად აიღება სანთლის ვაჭრობა. საქათალიკოსო საბჭოდან გამოიყოფა სამოსწავლო კომიტეტი, რომელსაც დაექვემდებარება სტამბა თავისი დირექტორებით. ეს ნაწილი თავისი ფუნქციებით იმასვე გაუწევს ჩვენს, რასაც რუსეთის სინოდის სამოსწავლო კომიტეტი უწევა სასულიერო უწყების სამოსწავლო და სამეურნეო დარგში: დაგვიმზადებს და გამოსცემს ყოველგვარ ბლანკებს, სახელმძღვანელო წიგნებს, ხელთნაწერებს, ბროშურებს, გაზეთს და სხვა და სხვა. სტამბის მოგებიდან მიიღებენ წლიურ პაისდაგვარად ეკლესიები. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ჩვენს ეკლესიებს ისევ გავუჩინოთ საეკლესიო წიგნები და წიგნთსაცავები გავავსოთ სასულიერო, სარწმუნოებრივ-ზნეობრივ, საისტორიო და მამულიშვილობის გამაღვიძებელ შინაარსის წიგნებით, რომ არც თვით ჩვენ მღვდლებს, არც მათ შვილებს და არც მათ მოწაფეთ არ ეხოთირებოდეთ ქართველ ჯარისკაცის ხელში დასანახავად დროშა ქართული წარწერით, არამედ ელტოდნენ მას პირიქით და ს. ბადაევისავით უცხოელებს ჩვენი ხელით არ მივართმევდეთ ჩვენ მამაპაპათაგან სისხლით დაცულ საუნჯე-ნაშთებს, არამედ გვქონდეს მათი ყამი და ყადრი.

მღ. ნიკ. ბარნაბიშვილი.

# კორესპონდენცია

## აფხაზეთიდან

ცარცვა-გლეჯას, ყაჩაღთაგან დაცემა-დარბევას დასასრული არა აქვს. ეს თავზედ ხელ-აღებული ვაჟბატონები უმეტესად სოხუმიდან მიმავალ დიდს შარა გზას ემტერებიან. მოგეხსენებათ, რომ მას შემდეგ რაც ომში დაიწყო და გემებმა შავ ზღვაზედ თარეში გამართა, სოხუმიდან, გაგრიდან და სხვა ადგილებიდგან თბილის-ქუთაისისკენ ზღვით მოგზაურობა შეუძლებელი შეიქნა და ერთად ერთ სამოგზაურო გზათ სოხუმ-ზუგდიდის გზა ღა დარჩა. აი ამ გზაზედ დღეს დიდი მოძრაობაა, აფარებელი სხვა და სხვა ჯურის ეტლებისა და ავტომობილების მოძრაობას დასასრული არა აქვს. აი ეს გზა, რომელიც დღეს უმთავრეს არტერიას წარმოადგენს აფხაზეთისათვის, გაიხადეს თავისს სათარეშო მოედნათ ყაჩაღთა ბრბოებმა. ტყიანსა და ჩავარდნილს ადგილებში უსვდებიან გამვლელ გამომვლელებს და სცარცვავენ. ისეთი შემთხვევებიც იყო, რომ ერთს დღეს 200 კაცი გასცარცვეს. სტაცებენ და ართმევენ ყველაფერს, რის მოტაცება და წაღებაც კი შეიძლება, ერთს მღვდელს წიღების და შლიაპის გარდა ანაფორა და კაბაც კი წაართვეს. ერთს ავტომობილს, რომელსაც არტელშჩიკი მისდევდა რკინის გზის მუშებისთვის ფულის დასარიგებლად, ოცი ათასი მანეთი წაართვეს. ყაჩაღების ასეთმა აღვირაწყვენილმა თარეშობამ მოთმინებიდან გამოიყვანა ყველანი, დიდი და პატარა, გამვლელი თუ ადგილობრივი. ყველა შიშის ზარმა აიტანა, მოგზაურობა შეუძლებელი გახდა, ეს ერთად ერთი გზა რომელიც აერთებდა აფხაზეთს ამიერ კავკასიასთან თითქმის დაიკეტა. შესწყდა მასზედ მოგზაურობა. მაგრამ დიდ ხანს არ შეიძლებოდა ასე ყოფნა, ამიტომ ამ დღეებში ქალაქ ოჩემჩირში მოხდა საერთო კრება, რომელზედაც თათბირი გამართეს იმის შესახებ თუ როგორ მიეღოთ საჭიროებისათვის და რა ნაირად აელაგმათ მძლავრი მცარცვა-მგლეჯები. კრებამ გადასწყვიტა ასი მილიციონერი დაიჭირონ და ადგილ-ადგილ ჩააყენონ გზაზედ და ამ რიგად დაიცვან გამვლელ-გამომვლელნი ცარცვა-გლეჯისაგან, რისთვისაც საჭირო ხარჯი 20,000 მან. თვეში ადგილობრივმა მცხოვრებლებმა უნდა გაიღონ. გარდა ამისა გადასწყვიტეს დაუყონებლივ ყაზახთა რაზმის მოწვევა. ოჩემჩირის ახალმა ქალაქის თავმა წინადადება მისცა კრებულს, რომ ასეთი ზომა დროებითიაო, საჭიროა ასეთს მოვლენას უფრო რადიკალური საშუალებებით ვებრძოლოთო და ასეთს ზომათ სკოლების ყველგან გაღება და სწავლა-ცოდნის გავრცელება ალიარა, თუ გვინდა რომ სამუდამოდ დავიხწიოთ ამ მუდმივ ცარცვა-გლეჯისაგანაო, მაგრამ ხმა ქალაქის თავისა დარჩა ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა.

—

ამ დღეებში დასრულდა ქართული ენის კურსები სამურზაყანოს მასწავლებელთათვის ს. გალში. ლექციებს, ანუ უკეთ რომა ვსთქვათ, პრაქტიკულს გაკვეთილებს აძლევდა პატივცემული მასწავლებელი ვ. ჭაბაია. მასწავლებლები ნაკლებ მცოდნენი აღმოჩნდენ ქართულის ენისა, უფრო კი ქალი მასწავლებლები, უმეტეს მათგანს სოხუმის დედათა გიმნაზია აქვს გათავებული და იქ კი, როგორც მოგეხსენებათ, ქართულს ენას ისეთივე ვერის ადგილი უჭირავს, როგორც სხვაგან. ზოგიერთი მასწავლებელი ქალი სრულებით არა ლაპარაკობს ქართულს, მაგრამ ყველას კი დიდი სურვილი აქვს ქართულის შესწავლისა და იმედია შემდეგისთვის უმრავლესობა მით მაინც შეივსებს ამ ნაკლსა. საჭიროა მხოლოდ, რომ შემდეგში ასეთი კურსები მათთვის შუაგულს საქართველოში იმართებოდეს, სურამში ან სხვაგან საზაფხულოდ, რათა პრაქტიკულადაც სკოლის გარეთაც შეეძლოთ ენის შესწავლა.

—

ეპისკოპოზ კირიონის კათალიკოსად ამორჩევამ აფხაზეთში საერთო სიხარული გამოიწვია. მას აფხაზთა შორის ბევრი ნაცნობები ჰყავს, ყველანი მის მოკლე ხანს, მაგრამ ნაყოფიერს მოღვაწეობას იხსენიებენ აფხაზეთში. იმედია ამის შემდეგ მაინც მოეღება აფხაზთა ყოყმანს და საბოლოოდ დაუბრუნდებიან თავის ძვირფს დედის საქართველოს ავტოკეფალურს ეკლესის და ჩრდილოეთისაკენ აღარ განაგრძობენ ყურებას და იქიდგან ციურის მანანის მოლოდინს. ქართველ აფხაზთა ეკლესია როგორც წინეთ ერთი ყოფილა ეხლაც ასე უნდა იყვეს და არა სხვანაირად, ამას მოითხოვს ჩვენი ერთობა-ძმობა და ისტორიული ტრადიცია.

—

წელს მთელს აფხაზეთში მშვენიერი მოსავალი არის სიმინდისა, ბარში მაინც ისეთი მოსავალი არის რო კარგა ხანია ასეთი არა ყოფილა. მაგრამ მიუხედავად ასეთის მოსავლისა აფხაზეთი მაინც თავის თავს ვერ გამოჰკვებავს. სიმინდი ყველგან ცოტა იყო დათესილი, მიუხედავად იმისა, რომ ოლქის გამგეობა ხმა მაღლივ შეჰღაღადებდა ყველას, დასთესეთ ბევრი სიმინდი და ღომიო. ყველა თამბაქოს თესვამ გაიტაცა, ყველამ თამბაქოს მაგრად მოჰკიდა ხელი როგორც კარგს გამორჩენის სამეურნეო დარგს. დღეს სადაც და ვისთანაც გინდა შეიხედოთ მდიდრისა თუ ღარიბის კარმიდამოში ყველგან თამბაქოს გამხმარს ნაწრებსა ჰხედავთ, რომლებზედაც შრება და ხმება თამბაქო ყველას გულის ყურის ოჩემჩირისკენ არის მიმართული, დიდი და პატარა მასზედ მუშაობს და ოცნებობს რომ კარგა დიდ ძალს ფულს მოიგებს და ჯიბეებს გაივსებს. თამბაქომ დასცა სიმინდის მოყვანა, თორემ წელს აფხაზეთში იმდენი სიმინდი რომ დათესილიყო, რამდენიც თამბაქო დაითესა, არამც თუ აფხაზეთს ეყოფოდა, ბევრი დარჩებოდა სხვათა სარჩენად და გამოსაკვებად. მაგრამ საუბედუროდ აფხაზეთს არამც თუ სხვის გამორჩენა თავის თავის გამორჩენაც უჭირს და არავინ იცის ხვალინდელი დღე რას იტყვის.

—

მთელს აფხაზეთში გაცხარებული მუშაობაა შავის ზღვის სანაპირო რკინის გზაზე და ახალს გზატკეცილზედ, რომელიც [illegible] სოხუმიდგან ზუგდიდ[illegible]. ერთიც და მეორეც საჭირო მუშავდება, მაგრამ რკინის გზის საქმე კი, რომლის შენებას ეს მეოთხე წელიწადია რაც შეუდგნენ, დასასრული ჯერ არსად უჩანს. მოგეხსენებათ რომ ბევრი შრომა და ჯაფა გამოიარა აფხაზეთმა ვიდრე საჭირო ინსტიტუტებში ამ რკინის გაყვანის საქმეს მოაწყობდა, ბევრი ვაი-უშველებობა გამოიარა, ბევრი მიწერ-მოწერა და სხვა შრომა დასჭირდა, მაგრამ დღესაც ისევ გულხელდაკრეფილი შესცქერის რკინის გზის გაყვანას რომლის დასასრულიც არ სჩანს. ჯერ იყო და პირველ წელიწადს რკინის გზის შენებისას მეტად ავდრიანი ზაფხული შეხვდა, რომელმაც შეუშალა ხელი მუშაობას, მეორე წელიწადს კიდევ მუშები აღარ იშოვნეს და მარტო-და სართების ანაბარა დარჩა რკინის გზა რომელნიც თურქესტანიდგან იყვნენ მოყვანილნი და რომელნიც მეტად ზანტ მომუშავენი გამოდგნენ, წელს კიდევ ჩამოიყვანეს სართების მაგივრად ავსტრიელი ტყვეები, რომელნიც მშვენიერი მუშები გამოდგნენ და მონდომ მუშაობდნენ, მაგრამ საუბედუროთ ციებ-ცხელებამ შეიპყრო ყველანი და ნახევარზედ მეტი სიცოცხლეს გამოასალმა. დღეს ეს განახევრებულნი ტყვეები მეტად შესაბრალისნი და საცოდავი სანახავნი არიან, ჩაყვითლებულნი, ჩამომხმარნი, დასუსტებულნი, რომელთა შნახველსაც ცრემლები მოუვა სიბრალულისაგან. აი ეს ამოდენა ტყვეები დღეს სრულიად გამოუსადეგარნი არიან, ასე რომ რკინის გზის მუშაობა ზოგ ადგილს თითქმის შეჩერებული არის და ახალი მუშების შოვნა კი შეუძლებელი ხდება. დაპირებული იყო რკინის გზის მმართველობა, რომ წელს ინგურამდის სოხუმიდამ გაზმოძრავებთ რკინის გზასაო, მაგრამ დღევანდელი ნამუშევარი გვიჩვენებს ამის შეუძლებლობას.

ამასთანავე უნდა ვსთქვათ რომ საუბედუროთ ამ რკინის გზას ათასი დაბრკოლებანი ეღობებიან წინ. აი მაგალითად რა დაბრკოლება გადაეღობა ამას წინად ზუგდიდში. რკინის გზის ლიანდაგი ზუგდიდს სცდება შვიდი ვერსით, ამიტომ ზუგდიდმა გადაჭრით მოითხოვა რკინის გზის ლიანდაგის მოახლოვება ქალაქთან და აი ამ გარემოებამაც შეიძლება კიდევ დროებით შეაფერხოს რკინის გზის გაყვანის საქმე.

ასვე თუ ისე ეს მეტად საჭირო და დიდ მნიშვნელოვანი რკინის გზა მეტად სასურველია რომ დროზედ დამთავრებულ იქნეს და ეს მეტად მდიდარი ქვეყანა რკინის გზით შეუერთდეს დანარჩენს საქართველოს.

ზ. გდელი.

რედაქტორი ზაქარია ვეშაპელი.

# კალენდარი

## ხუთშაბათი, ღვინობისთვის 19

**ქართვ.** წმიდ. წინასწარმეტყვ. იოლისა. წმ. მოწ. უვაროსი.
**კათოლ.** წმ. პეტრესი.
**სომეხ.** წმ. დიონისე არეოპაგელ. წმ. მოციქ. ტიმოთე, ტიტესი.
**მაჰმად.** პიანჯ-შამბე 15 რიც. მუხარამ 1336 წ. ჰიჯრისა.
**ებრაელ.** იომხამიშ 16 რ. ხეშვან 5678 წ. ქვ. შექმ.


## ამიერ-კავკასიის რკ. გზის
### მატარებლების მოძრაობა
(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისაკენ | საფ. | № 5, | 11.32 | ღამ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 11.28 | საღ. |
| [illegible] | სამგზ. | № 19, | 8, 17 | ღამ. |
| „ | „ | № 17, | 8.19 | ღამ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9.51 | ღამ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.46 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-8, | 12.15 | საღ. |

თბილისში მოდის:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 8.38 | ღამ. |
| „ | საფ. | № 4, | 7.41 | საღ. |
| [illegible] | სამგზ. | № 20, | 7.57 | ღამ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 9.50 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 8, | 10.26 | ღამ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 10.20 | საღ. |
| ყარს-ჯულფა. | საფ. | № 8, | 7.58 | ღამ. |


სტამბა „ტეხნიკუმი“ ასლან კალანდაძის გამეჯის შესახვევი № 4

გამომცემელი ამხანაგობა „საქართველო“